www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 8 სექტემბერი, 2012 წელი. | №3107 (200) | ფასი 50 თეთრი

NDI: "ნაციონალური მოძრაობა" - 37, "ქართული ოცნება" - 12

დათო გამისონია

საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეორე ტალღის პრეზენტაცია, რომელიც პოლიტიკური პარტიების რეიტინგებს მოიცავს, NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორმა ლუის ნავარომ გუშინ გამართა. კვლევის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, 31 ივნისიდან 12 აგვისტოს განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით 2038 მოქალაქე გამოკითხეს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ამერიკას "ჰაკანი" ტერორისტულ ორგანიზაციათა შავ სიაში შეჰყავს

თამთა კახაძე

"ნიუ-იორკ თაიმსის" ცნობით, ამერიკა პაკისტანში არსებული ჯგუფის - "ჰაკანის" ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში შეყვანისთვის ემზადება. ამ ჯგუფს მაღალი დონის თავდასხმებში ედება ბრალი.

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციად მოხსენება სანქციების დაწესებას გულისხმობს ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც ჯგუფს მატერიალურ დახმარებას აღმოუჩენს.

"ნიუ-იორკ თაიმსს" ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა (რომელიც ჯგუფის შავ სიაში შეყვანას ეწინააღმდეგება) განუცხადა, რომ ჯგუფის შავ სიაში შეყვანა ამერიკა-პაკისტანის ისედაც დაძაბულ ურთიერთობას კიდევ უფრო გააუარესებს.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

არჩევანი მომავლის სასარგებლოდ

დემოკრატთა ეროვნული ყრილობა დასრულდა

ხათუნა გაბიევი

დღესასწაულად ქცეული დემოკრატთა ეროვნული ყრილობა და ბარაკ ობამას გადამწყვეტი სიტყვა. ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედი პრეზიდენტი და მეორე ვადით საპრეზიდენტო კანდიდატი ამომრჩევლებს ემოციური გამოსვლით მეუღლემ წარუდგინა. **"სიამაყით აღსავსე წარმოგიდგენთ ჩემი ცხოვრების სიყვარულს, ჩვენი ორი ქალიშვილის მამასა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბარაკ ობამას,"** - განაცხადა მიშელ ობამამ, რომლის შეხვედრა სცენაზე ასევე ემოციური გამოდგა დამსწრე საზოგადოებისთვის.

დემოკრატების მხარდამჭერ ელექტორატს იმედები არც თავად პრეზიდენტმა გაუცრუა და მან გამოცდილი ლიდერის ამპლუაში თანამოქალაქეებს სთხოვა, მისცენ კიდევ ერთი შანსი დაწყებული საქმის დასაგვირგვინებლად.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ფინალის წინ

ვენეციის 69-ე ფესტივალი სრულდება

კადრი ფილმიდან "მძინარე მზეთუნახავი"

ვენეციის 69-ე კინოფესტივალი დღეს მთავრდება და ფინალის მოლოდინის რეჟიმში მყოფი კინომოყვარულები გამარჯვებულის გამოცნობას ცდილობენ. ხუმრობენ, რომ წლევანდელი საერთაშორისო კინოფესტივალების გამარჯვებულებად რატომღაც საპენსიო ასაკს მიტანებული რეჟისორები გვევლინებიან: ძმები ტავიანები - ბერლინში, მიხაილ ჰანეკე - კანში, ჟან-კლოდ ბრისო - ლოკარნოში. ხოლო მას შემდე, რაც ვენეციაში ტერენს მალიკის ფილმი ფაქტობრივად ჩავარდა, ფეტივალის მონაწილე ცოცხალ კლასიკოსთა შორის, ლომის მოპოვების პრეტენდენტად შეიძლება მარკო ბელოჩიო ჩაითვალოს. მის "მძინარე მზეთუნახავს" კვლავ და კვლავ წლის საუკეთესო იტალიურ ფილმად ასახელებენ, რომელშიც ფრანგი და იტალიელი ვარკსვლავები მონაწილეობენ. მის პრემიერას ვენეციაში მასმედია სულმოუთქმელად ელოდა.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6559⇓
1 ევრო	2.1028⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6377⇓
1 თურქული ლირა	0.9166⇓
100 რუსული რუბლი	5.1724⇓

თბილისი	27°C - 17°C
ქუთაისი	28°C - 16°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 15°C
ბათუმი	25°C - 17°C

ნავთობი	3.16	+0.02	+0.51%
გაზი	2.69	-0.09	-3.27%
ოქრო	1,738.40	+32.80	+1.89%
ხორბალი	905.00	+13.25	+1.46%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

თოკოს პერსპექტივა

ზურაბ თალაკვაძე

NBA მალე დაიწყება. ამერიკელები რეიტინგებზე სხედან. ამერიკაში რეიტინგული დიეტაა და ეს თემა იქ პოპულარულია. რეგულარულის დაწყებამდე უკვე წამოვიდა შედარებები. პოზიციის, პერსპექტივის, სიმაღლის, წონის, კანის ფერის, სხეულის მოქნილობის, ინტელექტის რეიტინგები. ერთ-ერთ ჩამონათვალში ჩვენი ბიჭი, თორნიკე შენგელია ზის. იქ პირველწლიანებზეა ლაპარაკი. ამერიკულად Rookie of the Year.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ჯვაროსნები გამარჯვებით იწყებენ

ვასილ უდუმაშვილი
გიგა გურასაშვილი

ვერემკოს კართან საქართველოს ნაკრებს რამდენიმე საგოლე მომენტი ჰქონდა

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმი 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ბელორუსის ეროვნული გუნდის დამარცხებით დაიწყო. სანამ თავად თამაშზე გადავიდოდეთ, რამდენიმე დეტალზე გვსურს თქვენი ყურადღების შეჩერება. პირველ რიგში, მოდით, ვაღიაროთ, რომ 2014 წლის ბრაზილიურ მუნდიალზე საქართველოს ნაკრებს მოხვედრის შანსი პრაქტიკულად არ აქვს. ჯგუფში, სადაც ესპანეთისა და საფრანგეთის ეროვნული გუნდები თამაშობენ, პირველ ორ ადგილზე გასვლა ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

საქართველოს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ეწვევა

საქართველოს 10-12 სექტემბერს, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ტომას მელიას ხელმძღვანელობით, უწყებათშორისი დელეგაცია ეწვევა. აშშ-ს საელჩოს ინფორმაციით, დელეგაციის შემადგენლობაში აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, თავდაცვისა და იუსტიციის დეპარტამენტების წარმომადგენლები იქნებიან.

აშშ-ს უწყებათშორისი დელეგაცია საქართველოში არსებულ წინასაარჩევნო გარემოს შეაფასებს.

როგორც საელჩოში განმარტავენ, დელეგაციის საქართველოში სტუმრობა ხაზს უსვამს დემოკრატიული საარჩევნო პროცესის მნიშვნელობას, რის შედეგადაც ქართველმა ხალხმა საკუთარი ნების გამომხატველი პარლამენტი უნდა აირჩიოს.

"დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და შრომის საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილე ტომას მელია და დელეგაციის წევრები გამართავენ მთელ რიგ შეხვედრებს, რომლის დროსაც დელეგაცია სთხოვს საქართველოს მთავრობას, აღასრულოს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ნორმები სამართლიანად, მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ; აგრეთვე, სთხოვს პოლიტიკურ პარტიებს, აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში და დაიცვან კანონი," - აცხადებენ აშშ-ს საელჩოში.

გრიგოლ ვაშაძე რუსეთის საგარეო უწყების განცხადებას ეხმაურება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ღია ცის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გუშინდელ განცხადებას ეხმაურება. როგორც გრიგოლ ვაშაძე აღნიშნავს, საქართველო დიდხანს ითმენდა ამ ხელშეკრულებაში რუსეთის აგრესიულ, პროვოკაციულ და სამართლებრივად დანაშაულებრივ ცალმხრივ შესწორებას. მინისტრის თქმით, რუსეთი აცხადებდა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელი ქვეყნები არიან და შესაბამისად, მათ საზღვართან 10 კილომეტრზე ახლოს მიახლოება არ შეიძლება.

"ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ არ შეიძლება ერთი სუვერენული ქვეყნის ინსპექციის დროს მეორე სუვერენულ ქვეყანაში, მესამე სუვერენული ქვეყნის საზღვრებს მიუახლოვდე, რაც სრული სისულელეა. ამიტომ საქართველომ თავისი ვალდებულებები შეაჯერა რუსეთის მიმართ. რუსეთის ფედერაციამ უნდა ისწავლოს ძალიან მარტივი რამე, რასაც იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის დაწყებიდან მეორე დღესვე გვასწავლიდნენ, რომ ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს. სამწუხაროდ, ეს რუსეთის ფედერაციას არ ესმის," - განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

"ნაციონალური მოძრაობა" ყრილობას გამართავს

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თბილისსა და საქართველოს ათ სხვა ქალაქში დღეს საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ყრილობას გამართავს. პარტიის სპიკერის ჩიორა თაქთაქიშვილის ინფორმაციით, თბილსში ყრილობა სპორტის სასახლეში გაიმართება, რომელსაც მხოლოდ თბილისის ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრებიან.

საქართველოს სხვა ქალაქებში შეხვედრები ღია ცის ქვეშ შედგება და მათზე სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები იქნებიან მიწვეულნი. თაქთაქიშვილის თქმით, ყრილობები კულტურული პროგრამით დაიწყება, შემდეგ გამოვლენ ლიდერები, რომლებიც დამსწრე საზოგადოებას პროგრამას "შეტი სარგებელი ხალხს" გააცნობენ.

"ნაციონალური მოძრაობის" სპიკერის ცნობით, ყველა ხარჯს პარტიის საარჩევნო კამპანიის ფონდი გაიღებს და შესაბამისად, აუდიტის სამსახურს გეგმიური ანგარიშის ფარგლებში წარუდგენენ.

როგორც თაქთაქიშვილმა განაცხადა, ყრილობას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი და "ნაციონალური მოძრაობის" სიის პირველი ნომერი დავით ბაქრაძეც დაესწრებიან.

რუსეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეები არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას რუსეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეები ვერ მიიღებენ, - ამის შესახებ ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, საარჩევნო უბნები გახსნილია ყველგან, სადაც წინა არჩევნებზეც იყო. "ერთადერთი გამონაკლისი ამ შემთხვევაში არის რუსეთი, რომელიც იმ სიაში, რომელიც საქართველოს საგარეო სამინისტრომ გადმოგვცა, არ იყო. რუსეთში ცოტა სხვა ტექნიკური პრობლემები არსებობს," - განაცხადა ზურაბ ხარატიშვილმა.

მისივე თქმით, არჩევნებში მონაწილეობა უცხოეთში არალეგალურად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს უპრობლემოდ შეუძლიათ; ამისათვის საჭიროა, გაიარონ არა საკონსულო აღრიცხვა, არამედ საკონსულო რეგისტრაცია. "საკონსულო რეგისტრაციისთვის არ არის საჭირო მისამართის დამადასტურებელი დოკუმენტი. საკონსულო რეგისტრაცია მოქმედებს მხოლოდ ამ არჩევნებისთვის და უცხოეთში მყოფ მოქალაქის სტატუსს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ექნება," - განაცხადა ხარატიშვილმა.

ცესკო-ს თავმჯდომარის აზრითვე, ქართველი ემიგრანტებისთვის არჩევნების თარიღის შეცვლის იურიდიული საფუძველი არ არსებობს.

„ყველაზე წარმატებული ამბასადორიალი"

მარი ახსიაშვილი

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელობის ამბასადორიალი გუშინ დაიხურა. წლევანდელი დიპლომატიური თავყრილობის ბოლო დღე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დესპანმა ჯონ ბრაიდენშტაინმა გახსნა. გამოსვლის თემა ეკონომიკური დიპლომატია იყო. გუშინდელი სამუშაო შეხვედრა სწორედ ეკონომიკურ განვითარებას და დიპლომატიას მიეძღვნა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ სერგი კაპანაძის განცხადებით, დიპლომატიურ კორპუსთან ასეთი ტიპის შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია.

"ეს არის საშუალება საქართველოს ელჩებისთვის და საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატისთვის, რომ ყველანი ერთად დავსხდეთ და ვილაპარაკოთ იმ პრობლემებზე, რომლებიც გაგვაჩნია. ვისაუბროთ იმ მიზნებზე, რომლებიც აქვს საგარეო პოლიტიკას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენთან მოდიან მთავრობის წევრები და მთავრობის პროგრამაზესაუბრობენ," - შენიშნავს კაპანაძე.

ამბასადორიალის ბოლო დღეს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებმა და სხვა დიპლომატებმა განიხილეს ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებული საკითხებიც, რომლის მთავარი მომხსენებლები საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ნიკა გილაური და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი დიმიტრი გვინდაძე იყვნენ.

"ორ ასპექტზე გავამახვილეთ ყურადღება. პირველი, ეს არის ეკონომიკური დინამიკა ქვეყანაში. ის ჩარჩო-პირობები, რომლებიც საქართველოში შემოსულ ნებისმიერ ინვესტორს დააინტერესებს, ეკონომიკური სტაბილურობა და განვითარების დინამიკაა; მეორე - საგნობრივი და დეტალური საუბარი იმ საინვესტიციო შესაძლებლობებზე, რომლებიც საქართველოში არსებობს. უცხოური ინვესტიცია არის სწრაფადმზარდი ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი. ჩვენ, ასევე, განვიხილავთ პირდაპირ უცხოური ინვესტიციების შემოდინების შესაძლებლობებს სხვადასხვა სექტორში," - განუცხადა ჟურნალისტებს დიმიტრი გვინდაძემ.

დიპლომატიური თავყრილობის მესამე დღეს იმსჯელეს ორმხრივ და მრავალმხრივ დიპლომატიურ ურთიერთობებზეც. მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა.

"ტრადიციულად, ყოველწელს ვხვდები ჩვენს ელჩებს, მათ, ვინც საზღვარგარეთ წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანას და ვაყენებ საქმის კურსში, თუ რაში ვარ ჩართული, მათ ქვეყნებთან მიმართებაში რა თანამშრომლობა გვაქვს. მაგალითად, ჰოლანდიასთან ძალიან აქტიურია თანამშრომლობა, ასევე, პოლონეთთან და აზერბაიჯანთან, მაგრამ არის ისეთი ქვეყნები, სადაც ახლა იწყება თანამშრომლობა; სადაც გვინდა, რომ მოვძებნოთ პარტნიორები განათლებაში, ჯანდაცვაში, კულტურის სფეროში, იგივე, გაცვლითი პროგრამებით და სტიპენდიებითაც შეგვიძლია დავეხმაროთ ჩვენებს, რომ იმ ქვეყნებში წავიდნენ. ამ საკითხებს განვიხილავდი ელჩებთან და, ტრადიციულად, მათაც აქვთ იდეები. ჩემთვისაც ძალიან სასარგებლო შეხვედრაა ამბასადორიალი, მარტო ელჩებისთვის კი არა," - განაცხადა ქვეყნის პირველმა ლედიმ.

აშშ-ში საქართველოს ელჩის თემურ იაკობაშვილის შეფასებით, წელს ყველაზე წარმატებული ამბასადორიალია, რაც კი საქართველოში ჩატარებულა.

"იმიტომ, რომ წელს გვაქვს საშუალება, ვუმასპინძლოთ ბევრი ქვეყნის, და ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყნების, საგარეო საქმეთა მინისტრებს, ასევე, ნატოს გენერალურ მდივანს. საკითხები, რომლებიც განიხილება, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ვიზუალურად თუ გადახედავთ, ჩემთვისაც ძალიან სასიამოვნოა, რომ ამდენ ელჩს ვხედავ, ამდენ ქვეყანაში გვაქვს საელჩო და ჩვენი დიპლომატიური სამსახური არამარტო გაფართოვდა რაოდენობრივად, არამედ ბოლო წლებში ხარისხობრივადაც საკმაოდ წინ წავიდა," - აღნიშნა თემურ იაკობაშვილმა.

როგორც საქართველოს მუდმივმოქმედი ელჩი ევროკავშირში სალომე სამადაშვილი ამბობს, შეხვედრები ძალიან კარგ სამუშაო გარემოში ჩატარდა.

"ჩვენ ძალიან კარგად გვაქვს გააზრებული, რა არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი პოლიტიკური ამოცანები საგარეო პოლიტიკის კუთხით გადაიჭრას. ძალიან დეტალური მსჯელობა გვქონდა ყველა შესაბამისი მიმართულებით," - განაცხადა სამადაშვილმა.

ამბასადორიალი 2012, რომელზეც საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებმა და სხვა დიპლომატებმა გასული წლის მანძილზე გაწეული საქმიანობა შეაჯამეს და მომავლის გეგმები დასახეს, ელჩებთან ერთად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ შეაჯამა.

რასმუსენის მიმართვა სოციალურ ქსელში

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა "ფეისბუქის" ოფიციალურ ვებგვერდზე ვიდეომიმართვა გამოაქვეყნა, რომელიც თბილისშია ჩაწერილი. სამწუთიან ვიდეოში ანდერს ფოგ რასმუსენი სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობაზე საუბრობს. იგი ჩრდილო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაში საქართველოს განსაკუთრებულ პარტნიორად მოიხსენებს.

მისი შეფასებით, ეს ქვეყანა მოვალეობების შესრულების მაგალითია. გენერალური მდივნის თქმით, ალიანსი აფასებს ქვეყნის წვლილს ავღანეთის სამშვიდობო მისიაში, სადაც ის მალე გახდება ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ავღანეთის მისიაში ნატო-ს არაწევრ ქვეყნებს შორის.

ანდერს ფოგ რასმუსენმა რეგიონის კონფლიქტებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ საჭიროა მათი მოწესრიგება, რადგან დაძაბულობა ეკონომიკური განვითარების პროცესს უშლის ხელს. მან მხარეებს მოუწოდა, შერიგებისკენ კონკრეტული ნაბიჯები გადადგან.

"ერთად ჩვენ გვსურს, დავიცვათ სტაბილურობა ამ რეგიონში და განვავითაროთ დემოკრატია, თავისუფლება და ადამიანის უფლებების დაცვა. სამხრეთ კავკასიაში არის დიდი ეკონომიკური პოტენციალი, თუმცა ის დაბლოკილია გადაუჭრელი კონფლიქტების გამო. რეგიონში დაძაბულობა უნდა შემცირდეს და უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები იმისათვის, რომ განხორციელდეს რეგიონული თანამშრომლობა და შერიგება. ვინაიდან დღეს თბილისშივარ, მინდა, გამოვიყენო შესაძლებლობა, რომ საქართველოს ხელისუფლებასა და ხალხს მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის," - აცხადებს ალიანსის გენერალური მდივანი ვიდეომიმართვაში.

ამერიკელმა სენატორებმა საქართველოში ვიზიტი დაასრულეს

ამერიკელი სენატორების სამკაციანმა დელეგაციამ საქართველოში ვიზიტი დაასრულა. ჯონ მაკკეინმა, ჯოზეფ ლიბერმანმა და ლინდსი გრემმა გამგზავრებამდე ჟურნალისტებთან კომენტარიც გააკეთეს.

"დარწმუნებულები ვართ, რომ მომავალი არჩევნები იქნება სამართლიანი. ჩვენ არ ვემხრობით რომელიმე კანდიდატს, უბრალოდ, ვემხრობით არჩევნების სამართლიანად ჩატარებას," - განაცხადა მაკკეინმა.

სენატორ ლინდსი გრემის თქმით კი, საქართველოში განვითარებულია დემოკრატია, რომელსაც რუსეთი ვერაფერს მოუხერხებს, რადგან ქართველმა ხალხმა უკვე გაიგო მისი გემო.

"ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო მადლიერია საქართველოსი იმ წვლილისთვის, რომელსაც ახორციელებს ავღანეთში. ნატო უფრო დააჩქარებს საქართველოსთან დაახლოებას," - განაცხადა გრემმა.

სენატორები უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა გააცილეს.

გამგზავრებამდე ამერიკელ სტუმრებს საქართველოს პრეზიდენტმა ყვარელში უმასპინძლა.

მიხეილ სააკაშვილმა მათ საკუთარი ვენახები დაათვალიერებინა, ვაზის ქართული ჯიშების უნიკალურობაზე ესაუბრა და ღვინის დაწურვისა და ჭაჭის დაყენების ტექნოლოგიებიც გააცნო. სენატორებმა, პრეზიდენტთან ერთად, სიმბოლურად, რთველშიც მიიღეს მონაწილეობა და, ქართული სიმღერის თანხლებით, ყურძენიც თავად დაწურეს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ღეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

NDI: "ნაციონალური მოძრაობა" - 37, "ქართული ოცნება" - 12

პირველი გვერდიდან

კვლევას, რომელიც NDI-ს დაკვეთით კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC) ჩაატარა, შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო (Sida) აფინანსებდა.

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე NDI კვლევის ჩატარებას აღარ აპირებს, ამიტომ გამოქვეყნებული მონაცემები წინასაარჩევნოდ მნიშვნელოვან სურათს იძლევა. როგორც ლუის ნავარო ამბობს, NDI-ს მიზანი არა არჩევნების შედეგების გამოცნობა, არამედ ტენდენციების გამოვლენაა. მეტი სანდოობისთვის პრეზენტაციაში, ახალ კვლევასთან ერთად, წარმოდგენილი იყო სლაიდი, რომელშიც 2010 წლის მუნიციპალური არჩევნების ოფიციალური შედეგები და NDI-ს მიერ წინასაარჩევნოდ ჩატარებული კვლევები იყო შედარებული. NDI-ს კვლევის თანახმად, არჩევნებამდე გიგი უგულავას რეიტინგი 57 პროცენტი იყო და მან არჩევნებში ხმების 55 პროცენტი მიიღო. ირაკლი ალასანიას კი, NDI-ს თანახმად, მხარს 7 პროცენტი უჭერდა, თუმცა მან, ოფიციალურად, ხმების 19 პროცენტი დააგროვა.

ლუის ნავარო განმარტავს, რომ ამომრჩევლები, რომლებიც კვლევაში "არ ვიცი" და "უარი პასუხზე" კატეგორიებში იყვნენ მოქცეულნი, სხვადასხვა პარტიის მხარდამჭერებად გადანაწილდნენ. მისი თქმით, თბილისის მაგალითზე აღმოჩნდა, რომ ეს კატეგორიები უფრო მეტად ოპოზიციის მხარდამჭერები აღმოჩნდნენ. თუმცა, ეროვნული მასშტაბით, როგორც ნავარო ამბობს, ამავე კატეგორიებში შემავალი ამომრჩეველები, როგორც ოპოზიციის, ასევე პოზიციის მხარდამჭერები ყოფილან.

რაც შეეხება ახლანდელ კვლევას, დასმულ კითხვაზე - ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, ხმას,ვის მისცემდით? - გამოკითხულთა 37 პროცენტი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ პასუხობს. კოალიცია "ქართულ ოცნებას" 12 პროცენტი ემხრობა; "ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას" - 3 პროცენტი. ივნისში ჩატარებულ კვლევასთან შედარებით, "ქართული ოცნების" რეიტინგმა 6 პროცენტით იკლო. "ნაციონალური მოძრაობისა" და ქდმ-ს მონაცემები, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. პასუხის გაცემაზე უარი 21-მა პროცენტმა თქვა. 22 პროცენტი პასუხობს: არ ვიცი. 3 პროცენტი არც ერთი პარტიისთვის არ აპირებს ხმის მიცემას. დანარჩენი ოპოზიციური პარტიების რეიტინგი კი ჯამში 2 პროცენტს შეადგენს.

პოლიტიკური პარტიების მიმართ ამომრჩევლის დამოკიდებულება კვლევაში სხვა კუთხითაც არის გამოკვლეული. კერძოდ, მოსახლეობის 38 პროცენტის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა." გამოკითხულთა 14 პროცენტის შეხედულებებთან ახლოს კოალიცია "ქართული ოცნება" დგას. ქდმ-ს მაჩვენებელი 4 პროცენტია. 16 პროცენტი ამბობს, რომ კითხვაზე პასუხი არ იცის. 18-მა პროცენტმა პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა.

მოწონების მაჩვენებელში კი ლიდერობას 91 პროცენტით პატრიარქი ინარჩუნებს.

მე-2 ადგილზე პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილია, 62 პროცენტით. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოკითხულთა 61 პროცენტს მოსწონს; თბილისის მერი გიგი უგულავა - 58 პროცენტს; პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე - 55-ს; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია 36 პროცენტს მოსწონს.

ოპოზიციიდან მოსახლეობას ყველაზე მეტად "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი გიორგი თარგამაძე მოსწონს (49 პროცენტი). ამავე პარტიის წევრი ინგა გრიგოლია 41 პროცენტს მოსწონს. კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილის მოწონების მაჩვენებელმა, ივნისში ჩატარებულ კვლევასთან შედარებით, 7 პროცენტით დაიკლო და 39 პროცენტია. "ქრისტიან-დემოკრატი" მაგდა ანიკაშვილი 35 პროცენტს მოსწონს; "ქართული ოცნების" წევრი ირაკლი ალასანია - 31-ს.

NDI-ს კითხვარში პირველად მოხვდა შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია. ის 24 პროცენტს მოსწონს და 39 პროცენტს არ მოსწონს. მოწონების მიხედვით, სიაში ბოლო ადგილს იკავებს გენერალური აუდიტორი ლაშა თორდია, რომელიც კითხვარში ასევე პირველადაა. თორდია 4 პროცენტს მოსწონს; 18-ს არ მოსწონს; 69 პროცენტი - არ ვიცი; 10 პროცენტი - უარი პასუხზე.

ყველაზე დიდი უარყოფითი მაჩვენებელი კი ნინო ბურჯანაძეს აქვს, რომელიც 69 პროცენტს არ მოსწონს და 7 პროცენტს მოსწონს.

საქმიანობის შეფასების მაჩვენებლის მიხედვით, ძირითადი ტენდენცია შენარჩუნებულია და პატრიარქის შემდეგ მე-2 ადგილს აქაც ვანო მერაბიშვილი იკავებს. თუმცა, პროცენტულ მონაცემებში ცვლილებაა და პრემიერ-მინისტრის საქმიანობას დადებითად 54 პროცენტი აფასებს. მიხეილ სააკაშვილის საქმიანობას დადებითად 41 პროცენტი აფასებს; გიგი უგულავას საქმიანობას - 39; დავით ბაქრაძის საქმიანობას - 31 პროცენტი.

ოპოზიციიდან ყველაზე პოზიტიურად, 27 პროცენტით, ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა არის შეფასებული. გიორგი თარგამაძის საქმიანობას დადებითად 23 პროცენტი აფასებს.

NDI საქართველოს მომავალი პრეზიდენტის საკითხითაც დაინტერესდა. კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 28 პროცენტი აღნიშნავს, რომ არ იცის, საქართველოს მომავალ პრეზიდენტად ვის აირჩევდა. 27 პროცენტი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატის არჩევას აპირებს. ბიძინა ივანიშვილის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს 12 პროცენტი ემხრობა. რაც შეეხება მოქმედ პრეზიდენტს, როგორც ლუის ნავარო ამბობს, იმ ამომრჩევლებს, რომლებსაც მომავალშიც მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერა სურთ, საველე სამუშაოების დროს 3-ჯერ განუმარტეს, რომ, კონსტიტუციით, სააკაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას კიდევ ერთხელ ვეღარ მიიღებს. მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა 4 პროცენტი ამბობს, რომ მომავალ პრეზიდენტად მაინც სააკაშვილს აირჩევდა, 21 პროცენტი კი პასუხის გაცემაზე უარს ამბობს. 3 პროცენტს პრეზიდენტად გიორგი თარგამაძე სურს. 2 პროცენტი აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტად არც ერთს არ ისურვებს.

პრეზენტაციის შემდეგ ლუის ნავარომ კვლევის შედეგები თვითონვე შეაფასა. იგი პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდებს, არჩევნებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენონ, რათა მოსახლეობას ის საკითხები მიაწოდონ, რაც მათ აინტერესებთ და თავიანთი გეგმები ხალხს წარუდგინონ. მისი თქმით, 46 პროცენტს წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებმაც არ იციან, ხმას ვის მისცემენ ან ამბობენ: "არც ერთი პარტიას"; ამასთან, როგორც ნავარო ამბობს, ნახევარზე მეტია იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, ვინც ხელისუფლების გეგმები არ იცის, ხოლო სამ მეოთხედზე მეტი ყველაზე დიდი ოპოზიციური სუბიექტის - "ქართული ოცნების" გეგმების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. აქედან გამომდინარე, ნავარო აღნიშნავს, **"როგორც აღმოჩნდა, მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია. იმის მიხედვით, პრობლემების მოგვარების გზებს უკეთ რომელი პარტია შესთავაზებს, შესაძლოა, ისინი რომელიმე პარტიის მომხრეები გახდნენ."**

კვლევას პოლიტიკოსები აფასებენ

"ქართული ოცნების" ლიდერს ბიძინა ივანიშვილს NDI-ის კვლევაში არსებული კითხვების ფორმულირებასთან დაკავშირებით შენიშვნები აქვს.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, NDI-ის საქართველოში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განუხორციელებია, თუმცა კვლევების ჩატარებაში პროფესიონალი არ არის. **"მე მათ მიმართ დიდი მადლიერების გრძნობა მაქვს. რაც შეეხება შეკითხვებს, გაუგებარია, რატომ სვამენ კითხვას, ვინ გაჰყვება ივანიშვილს ქუჩაში. კითხვის ფორმულირება კითხვას აჩენს. ისინი პროფესიონალები არ არიან. ამერიკის შეერთებულ შტატებში არასოდეს ჩაუტარებიათ გამოკითხვა. ნაწილობრივ ვენდობით, ნაწილობრივ, პროცედურასთან დაკავშირებით, კითხვები გაგვაჩნია,"**- აღნიშნა ივანიშვილმა.

"ქართული ოცნების" ლიდერის მტკიცებით, კვლევაში პროცენტულ მაჩვენებლებთან მიმართებაშიც წინააღმდეგობრივი შედეგებია. **"რეიტინგი 12% დამიწერეს, ქუჩაში 27% გამომყვება - წინა კვლევაში ასე იყო. მაგრამ NDI-ისადმი დიდი პატივისცემის გრძნობა გამაჩნია,"** - განაცხადა ივანიშვილმა.

NDI-ს კვლევის შედეგების გაზეთ "24 საათთან "კომენტირებისას

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე დარწმუნებულია, რომ ახალი მოწვევის პარლამენტში არა 6-7-კაციანი ფრაქცია, არამედ სოლიდური გუნდის პერსპექტივა გააჩნიათ. **"კვლევის შედეგებში არის გამოკითხულთა ძალიან დიდი წილი, ვისაც გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ამ ადამიანებს არც სააკაშვილი მოსწონთ და არც - ივანიშვილი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ძალიან დიდი პერსპექტივა გაგვაჩნია ამ ადამიანების დარწმუნებისა და მხარდაჭერის. მათი მხარდაჭერის იმედი გვაქვს და ასევე, კვლევაში ჩვენი ლიდერების მიმართ მაღალი ნდობაა გამოხატული. ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი პერსპექტივა ახალი მოწვევის პარლამენტში არა 6-7-კაციანი ფრაქციაა, არამედ ძალიან სოლიდური გუნდი იქნება,"** - განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

როგორც "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" მიიჩნევს, უმჯობესი იქნებოდა, NDI-ს კვლევა ცოტა ადრე გამოექვეყნებინა, რადგან კვლევა ერთი თვის წინ ჩატარდა, წინასაარჩევნო დინამიკა კი სწრაფად იცვლება.

NDI-ს კვლევის მონაცემებს "ნაციონალური მოძრაობაც" გამოეხმაურა. პარტიის პრესპიკერის ჩიორა თაქთაქიშვილის განმარტებით, "ნაციონალური მოძრაობა" დეტალურად გაეცნობა NDI-ს კვლევის მონაცემებს, თუმცა, მისი აზრით, ეს შედეგები არის დამატებითი პასუხისმგებლობა, რომელსაც "ნაციონალებს" საქართველოს მოქალაქეები აკისრებენ.

"ეს არის დამატებითი პასუხისმგებლობა, რომ "ნაციონალურმა მოძრაობამ" მეტი ძალისხმევით შეძლოს იმის განხორციელება, რომელსაც გულისხმობს პროგრამა - "მეტი სარგებელი ხალხს." თაქთაქიშვილმა აღნიშნა, რომ მმართველი პარტია არ დაიშურებს ძალისხმევას, რომ არსებული პრობლემები იქნას მოგვარებული.

"არჩევნებამდე დარჩენილ დროს გამოვიყენებთ, რომ ხალხს დეტალურად ავუხსნათ, რის გაკეთებას ვაპირებთ გამარჯვების კვალდაკვალ," - აღნიშნა მან.

ბიძინა ივანიშვილი: "მიხეილ სააკაშვილი ფეოდალურ ხანას უბრუნდება"

კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერი მუხრანში მოსახლეობას შეხვდა. როგორც ბიძინა ივანიშვილმა შეხვედრისას განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტი ხშირად ადანაშაულებს იმაში, თითქოს მას ქვეყნის კომუნისტურ რეჟიმზე დაბრუნება სურს. ივანიშვილის თქმით, მის ინტერესებში ნამდვილად არ შედის, კომუნისტურ წყობაში გადაიყვანოს ქვეყანა, თუმცა "თავად მიხეილ სააკაშვილი კომუნისტურ წყობას კი არა, ფეოდალურ ხანას უბრუნდება".

კოალიციის ლიდერის თქმით, მიხეილ სააკაშვილს რეგიონებში თითო რჩეული ადამიანი ჰყავს, რომელთაც ყველა ბიზნესი აქვთ ჩაბარებული. "ამ რეგიონში ერთი პიროვნება აკონტროლებს არა მარტო ყველა ბიზნესს, არამედ კანფეტებსაც კი, ვინაიდან საწარმო სწორედ ამ რეგიონში მდებარეობს. ახლა განვსაზღვროთ, მე მინდა კომუნისტურ წყობაში დაბრუნება თუ მიხეილ სააკაშვილს - ფეოდალური წყობა?" - მიმართა ბიძინა ივანიშვილმა მოსახლეობას.

მისივე განცხადებით, მუხრანის მიმდებარე სოფლებში ეთნიკურად მრავალფეროვანი მოსახლეობა ცხოვრობს; სოფელ სანდაში არიან ასირიელები, რომლებიც წლებია ითხოვენ, ჰქონდეთ სალოცავი, თუმცა მათზე არავის უფიქრია. ივანიშვილის თქმითვე, აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელში არაერთი განათლებული მოსახლეა, თუმცა ისინი დასაქმებას სოფლის საკრებულოშიც კი ვერ ახერხებენ.

კოალიციის ლიდერის განცხადებით, "ქართული ოცნება" 1-ელ ოქტომბერს გამარჯვებისთვის ემზადება და თუ ვინმე არჩევნების გაყალბებას შეეცდება, ის და მისი თანაგუნდელები თავიანთი ხმების დასაცავად მზად არიან.

ქდმ-ს ლიდერები სამტრედიაში მოსახლეობას შეხვდნენ

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერები სამტრედიაში მოსახლეობას შეხვდნენ. როგორც "ინტერპრესნიუსი" პარტიის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება, შეხვედრაზე გიორგი თარგამაძემ და ინგა გრიგოლიამ ადგილობრივებს "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" საარჩევნო პროგრამა და პრიორიტეტები გააცნეს.

ინგა გრიგოლია სამტრედიელებს დაჰპირდა, რომ "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" გამარჯვების შემთხვევაში, იგი სამტრედიაში უმუშევრობის, გაჭირვებისა და სიღარიბის პრობლემების დაძლევას შეძლებს.

"21-ე საუკუნეში სოფლებში ავტობუსი კვირაში ერთხელ დადის. ჩვენი ხელისუფლების სირცხვილია, რომ სამტრედიაში არც ერთი საწარმო არ მუშაობს. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში, ვპირდებით მოსახლეობას, რომ მათ შვილებს ექნებათ განათლება, მშობლები იქნებიან დასაქმებულები, ჩვენი პენსიონერები კი - დაფასებულები," - განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

"მასთ ქერისა" და "მასთ ოფერის" პრინციპების გაგრძელებას არჩევნების შემდეგაც ითხოვენ

კამპანიის "ეს შენ გეხება" მონაწილე ორგანიზაციები "მასთ ქერისა" (must carry) და "მასთ ოფერის" (must offer) პრინციპების მოქმედების გაგრძელებას საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც მოითხოვენ. ამის შესახებ კამპანიის მონაწილეებმა გუშინ განაცხადეს.

კამპანიის მონაწილეებმა გაავრცელეს მიმართვაც საქართველოს ხელისუფლების სახელზე, რომელშიც "მასთ ქერისა" და "მასთ ოფერის" პრინციპების მოქმედების გაგრძელების მოთხოვნებია დასაბუთებული. როგორც ორგანიზაციების ხელმძღვანელები აცხადებენ, აღნიშნული პრინციპების მოქმედებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მრავალფეროვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საქმეში, თუმცა ინფორმაციის მიწოდება მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის კვლავ შეზღუდული რჩება; ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი სხვადასხვა ორგანიზაციის კუთვნილი სატელიტური თეფშების სათანადო სამართლებრივი საფუძვლების გარეშე დაყადაღებაა.

კამპანიის "ეს შენ გეხება" მონაწილე ორგანიზაციების მოთხოვნით, დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას ყადაღა ტელეკომპანიების კუთვნილ ანტენებზე და უზრუნველყოფილი იყოს მათი გავრცელების შესაძლებლობა. რაც შეეხება "მასთ ქერის" პრინციპს, კამპანიის მონაწილეები აცხადებენ, რომ ეს პრინციპი უნდა მოქმედებდეს მინიმუმ 2015 წლამდე, სანამ საქართველოში ტელემაუწყებლობა ციფრულ ფორმატზე გადავა.

ბარიერგადალახული აბიტურიენტები, შესაძლოა, უმაღლეს სასწავლებლებში ვაკანტურ ადგილებზე გადანაწილდნენ

აბიტურიენტები, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ბარიერი გადალახეს, მაგრამ ფაკულტეტებზე ვერ ჩაირიცხნენ, შესაძლოა, უმაღლეს სასწავლებლებში ვაკანტურ ადგილებზე გადანაწილდნენ.

განათლების სამინისტროში გუშინ აბიტურიენტების მშობლებისა და განათლების მინისტრის მოადგილის შეხვედრა გაიმართა. მშობლების განცხადებით, განათლების სამინისტრო ბარიერგადალახულ აბიტურიენტებს კანონის ფარგლებში ვაკანტურ ადგილებზე გადაანაწილებს. ერთ-ერთი მშობლის ნანა ცუცქირიძის ცნობით, სამინისტრო აღნიშნულ გადაწყვეტილებას დღეს გამოაცხადებს.

განათლების სამინისტროსთან აბიტურიენტები და მათი მშობლები იყვნენ შეკრებილები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ეროვნულ გამოცდებზე ბარიერი 1 500-მდე აბიტურიენტმა გადალახა, თუმცა ფაკულტეტებზე ვერ ჩაირიცხნენ. მათი თქმით, ამას 27 ივლისიდან აპროტესტებდნენ, რესურსცენტრებსა და უმაღლეს სასწავლებლებსაც მიმართეს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სასწავლებლებში ვაკანტური ადგილები იყო, თუმცა ჩარიცხვის საკითხი განათლების სამინისტროს უნდა გადაეწყვიტა.

ბარიერგადალახული აბიტურიენტების მშობლები გუშინდელ აქციამდე განათლების მინისტრის მოადგილე შოთა ნიჟარაძეს ორჯერ შეხვდნენ და მისგან პრობლემის მოგვარება მოითხოვეს.

სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

 წაიკითხე → შეიმეცნე → დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა
უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

საქართველოს კონსტიტუციის 73-ე და 74-ე მუხლების განმარტებებით იხილავთ გაზეთ (24 საათის) შემდეგ ნომრებში.

II საერთაშორისო სტუდენტური ოლიმპიადა ეროვნულ და შედარებით კონსტიტუციურ სამართალში.

დასრულდა კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის მიერ ორგანიზებული II საერთაშორისო სტუდენტური ოლიმპიადა ეროვნულ და შედარებით კონსტიტუციურ სამართალში. ორი დღის განმავლობაში, ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტ პალასში", ჟიურის წინაშე წარსდგა ფინალური ეტაპის მონაწილე თექვსმეტი სტუდენტი შვიდი სახელმწიფოს - აზერბაიჯანის, ბულგარეთის, მოლდავეთის, საქართველოს, რუსეთის, სომხეთისა და უკრაინის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებიდან. სტატიათა პრეზენტაციით ჟიურის წინაშე წარსდგნენ:

აზერბაიჯანი

არზუ ჰასანოვა
თემა - „სამართლიანი სასამართლოსუფლება";
ზოხრაბ მოჰარრამოვი
თემა - „შეკრების თავისუფლების სამართლებრივი რეგულირება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში".

ბულგარეთი

სიმონა ველევა
თემა - „სიტყვის თავისუფლება ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში";
ალექსანდრა დიმიტროვა
თემა - „სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიები".

მოლდავეთი

სილვა კალანჩა
თემა - „საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობის კონტროლი";
მირჩა გლადკი
თემა - „ეკონომიკური უსაფრთხოების კონსტიტუციურიასპექტები".

საქართველო

გიორგი დავითური
თემა - „მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობა: შედარებითიანალიზი და 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში";
თამარ ქოჩაკიძე
თემა - „კონსტიტუციური დიალოგი სასამართლო და საკანონმდებლოხელისუფლებას შორის ადამიანის უფლებების საკითხზე".

ოლიმპიადის ფინალურ ეტაპზე კონკურსგარეშე მონაწილეობდა და ჟიურის წინაშე, წარსდგა **სოფო დემეტრაშვილი** - თემაით „საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით.

უკრაინა

ანასტასია ლიალინა
თემა - „უკრაინასა და საზღვარგარეთის ქვეყნებში იმპიჩმენტის პროცედურის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი";
მიხაილო კორმილო
თემა - „სამართლის ნორმათა დინამიური განმარტება კონსტიტუციურ სამართალწარმოებაში".

სომხეთი

ანი დანიელიანი
თემა - „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვები";
სურენ ავეტისიანი
თემა - „მეორე შესწორება - ისტორიული მემკვიდრეობა თუ აქტუალური საკითხი";

პრეზენტაციების დასრულებისთანავე გაიმართა ჟიურის სხდომა.
ჟიურის წევრებმა ოლიმპიადის დებულების შესაბამისად, თითოეული სახელმწიფოდან გამოავლინეს თითო გამარჯვებული.

აზერბაიჯანი - ზოხრაბ მოჰარრამოვი
ბულგარეთი - ალექსანდრა დიმიტროვა
მოლდავეთი - მირჩა გლადკი
საქართველო - გიორგი დავითური
რუსეთი - დამირ სალიხოვი
სომხეთი - სურენ ავეტისიანი
უკრაინა - მიხაილო კორმილო

გამარჯვებულებს გადაეცათ II საერთაშორისო სტუდენტურ ოლიმპიადაში გამარჯვების დამადასტურებელი დიპლომები და პრიზები ოლიმპიადის სიმბოლიკით.
ოლიმპიადის მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.
ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის, თავად ჟიურისა და კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელის ავთანდილ დემეტრაშვილის მიერ დაწესებულ ნომინაციებში.

ქ.ბათუმი, სოფლისა ალეკსიძის, №26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12; (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

ამერიკას "ჰაკანი" ტერორისტულ ორგანიზაციათა შავ სიაში შეჰყავს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

საფრთხეში ჩააგდებს ამერიკელი სერჟანტის ბოვ ბერგდალის ბედს, რომელიც შეიარაღებულ მებრძოლებს მძევლად ჰყავთ აყვანილი.

თუმცა სახელმწიფო დეპარტამენტისა და სამხედრო სფეროს სხვა მაღალჩინოსნები ირწმუნებიან, რომ აღნიშნულით შემცირდება ჯგუფის დაფინანსება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საემიროები, პაკისტანი კი იძულებული გახდება, შეიარაღებული მებრძოლების წინააღმდეგ იმოქმედოს.

"ეს აჩვენებს, რომ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ეს ბიჭები შევავიწროვოთ," - აღნიშნა ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, რომელიც ამ პროცესში უშუალოდ მონაწილეობს.

"ალ-ქაიდასთან" დაკავშირებულ "ჰაკანის" დაჯგუფებას ამერიკის ოფიციალური პირები ავღანეთში ბოლო დროს მომხდარ თავდასხმებში ადანაშაულებენ, მათ შორის, ქაბულში ამერიკის საელჩოსა და ამერიკელ სამხედროებზე თავდასხმებში. ამერიკა პაკისტანის სადაზვერვო სამსახურებს დაჯგუფების მხარდაჭერაში სდებს ბრალს. პაკისტანი ბრალდებებს უარყოფს.

შეგახსენებთ, რომ ამერიკა-პაკისტანს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გასული წლის ბოლოს დაიძაბა, როდესაც 2011 წლის ნოემბერში პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე ამერიკული უპილოტო თვითმფრინავების მიერ განხორციელებულ საჰაერო იერიშს 24 პაკისტანელი სამხედრო ემსხვერპლა. ინციდენტის შემდეგ პაკისტანმა ამერიკას ავღანეთთან დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი გზა ჩაუკეტა, რომელიც მხოლოდ ივლისის დასაწყისისთვის გაიხსნა. გზის გახსნას წინ რთული მოლაპარაკებები უძღოდა. პაკისტანი ამერიკისაგან ინციდენტის გამო ბოდიშის მოხდას ითხოვდა.

არჩევანი მომავლის სასარგებლოდ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

პირველ რიგში, ბარაკ ობამამ ჯერ დაშვებული შეცდომები აღიარა, შემდეგ კი იმედი გამოთქვა, რომ ამერიკელებთან ერთად შეძლებს მათთვის ამერიკული ოცნების ახდენას. **"თქვენ მე იმისთვის ამირჩიეთ, რომ ის გითხრათ, რისი მოსმენაც გსურთ. თქვენ მე იმისთვის ამირჩიეთ, რომ გელაპარაკოთ. სიმართლე კი ის გახლავთ, რომ დროთა განმავლობაში დაგროვილი პრობლემების გადაჭრას რამდენიმე წელი დასჭირდება. თუმცა მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენი ამოცანა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, განათლების საფასურის შემცირება და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება. ჩვენ აღარ უნდა ვხარჯოთ ფული საომარ კამპანიებზე და ეს სახსრები ეკონომიკის აღორძინებას უნდა მოვახმაროთ. რაც შეეხება დაპირებებს, რომელიც მე 4 წლის წინ მოგეცით, გახსოვთ, იყო ერაყიდან ჯარების გამოყვანის დაწყება და ეს დანაპირები შევასრულე. დაგპირდით, რომ ჯარების გამოყვანას დავიწყებდით ავღანეთიდანაც და პირობაც სრულდება - 2014 წლის ბოლომდე ჩვენი სამხედრო კონტიგენტი ავღანეთს დატოვებს. ასევე დაგპირდით ტერორიზმთან შეურიგებელ ბრძოლას და "ალ კაიდას" ლიდერის, მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის ლიკვიდაცია ამის დამადასტურებელი ნათელი მაგალითია. ახლა არჩევანი თქვენზეა. თქვენ მხარი თქვენს მომავალ კეთილდღეობას უნდა დაუჭიროთ,"** - განაცხადა დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატმა, რასაც მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა. პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში აქცენტი ძირითადად ეკონომიკაზე გააკეთა, რადგან ამჯერად ამერიკელებისთვის ეს ყველაზე მტკივნეული წერტილია. ამჟამად ქვეყანაში უმუშევრობის დონე 8.3 პროცენტს შეადგენს, ასეთი მაღალი მაჩვენებლის პირობებში კი მეორე ვადით არჩევა დღემდე მხოლოდ ფრანკლინ რუზველტმა და რონალდ რეიგანმა მოახერხეს. თუმცა, როგორც ყრილობის მსვლელობისას გაირკვა, მცირეოდენი კორექტირება მოქმედმა პრეზიდენტმა რამდენიმე საათით ადრე ცნობილ სიტყვაში გამოსვლისას მაინც შეიტანა და გადაკვრით რუსეთზეც ისაუბრა. ოფიციალურ მოსკოვზე საუბარი რესპუბლიკელთა საგარეოპოლიტიკურ მიდგომებზე სიტყვას მოჰყვა, რომლებსაც ბარაკ ობამამ "ცივი ომის" ეპოქაში ჩარჩენილები უწოდა. **"დღეს ჩვენ არჩევნის წინაშე ვდგავართ. ჩემი ოპონენტი და მისი გუნდი საერთაშორისო პოლიტიკაში მაინც ახლები არიან, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რასაც ამბობენ, აშკარაა, რომ ჩვენ წარსულში დაბრუნებას ცდილობენ - იმ დროში, როდესაც შეერთებულ შტატებს შეცდომები ძვირად დაუჯდა,"** - აღნიშნა ბარაკ ობამამ.

მოქმედ პრეზიდენტამდე კი ტრიბუნაზე ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გამოვიდა და ბარაკ ობამას, როგორც პოლიტიკოსს, გამბედაობა შეუქო, რადგან იგი სახელმწიფოსთვის სასარგებლო მიზნის მისაღწევად არაპოპულარულ ნაბიჯებსაც არ ერიდება. **"მე არ ვფიქრობ, რომ მიტ რომნი ცუდი კაცია. ის არ არის ცუდი ადამიანი, მაგრამ მას არ ესმის ის, რაც პრეზიდენტ ობამას ესმის. პრეზიდენტის მიზანი ღარიბი ამერიკელების დახმარება, მათი სოციალური პირობების გაუმჯობესება, დაზღვევისა და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა. ეს ადამიანი არის გულწრფელი საკუთარი ხალხის მიმართ. მას ამერიკელი ხალხის კეთილდღეობა, ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერება და მილიონობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნა სურს. აი, რატომ უნდა დაუჭიროთ მხარი ბარაკ ობამას,"** - განაცხადა ჯო ბაიდენმა.

ექსპერტების მოსაზრებები კი საპრეზიდენტო კანდიდატთა პროგრამების შესახებ იყოფა. მათ ნაწილს მიაჩნია, რომ პროგრამებში დიდი განსხვავებაა, განსაკუთრებით ეს თვალში საცემი საგარეოპოლიტიკურ მიდგომებშია, რადგან ობამას, მიტ რომნისთან შედრებით, მეტი გამოცდილება აქვს. ზოგიერთი ექსპერტი კი ფიქრობს, რომ სხვაობა მხოლოდ საშინაო პოლიტიკაშია, რადგან ბარაკ ობამას ღრმად სწამს სოციალური უსაფრთხოების პროგრამის, ჯანდაცვისა და განათლების სფეროში ინვესტირების გაგრძელების აუცილებლობა მაშინ, როდესაც მიტ რომნი უფრო კერძო სექტორსა და ბიზნესზეა ორიენტირებული და მიაჩნია, რომ სახელმწიფო ნაკლებად უნდა ერეოდეს ბიზნესში და გადასახადები, რეგულაციებთან ერთად, უნდა შემცირდეს.

დემოკრატთა ეროვნულ ყრილობას ინციდენტების გარეშე არ ჩაუვლია. ქალაქ შარლოტში, სადაც უსაფრთხოების ზომები უკიდურესად იყო გამკაცრებული, სპეცსამსახურებმა ახალგაზრდა მამაკაცი დააკავეს, რომელიც ობამას მოკვლით იმუქრებოდა. ტვიტერში პრეზიდენტის მოკვლის სურვილის აღიარება 21 წლის ახალგაზრდამ მარიხუანას ზემოქმედებას დააბრალა. გარდა ამისა, შარლოტში წინააღმდეგობის მოძრაობა - "დაიკავეს" აქციაც გაიმართა, რომლებმაც დემოკრატებს ეკონომიკური პოლიტიკა დაუწუნეს. თუმცა, როგორც ეროვნულმა კონვენტმა აჩვენა, სადაც შოუბიზნესიდან ცნობილი სახეებიც მრავლად გამოჩნდნენ, ამერიკელების გულის მოგება დემოკრატებს პაციფისტური პოლიტიკით უკეთ გამოდით.

ერაყი სირიის კონფლიქტში ჩარევას უარყოფს

"სი-ენ-ენის" ცნობით, გუშინ სამი ამერიკელი კანონმდებელი ერაყში ჩავიდა, სადაც ქვეყნის დედაქალაქში სირიის კონფლიქტზე სასაუბროდ ქვეყნის ლიდერებს შეხვდებიან. ბოლო პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერაყი ირანს ნებას აძლევს, სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ძალებისათვის საბრძოლო მასალის მისაწოდებლად ქვეყნის საჰაერო სივრცე გამოიყენოს.

აღნიშნულს ერაყი კატეგორიულად უარყოფს: "ერაყი არც ერთ ქვეყანას არ მისცემს უფლებას, ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცე სირიის კონფლიქტში მონაწილე მხარეების იარაღით მომარაგებისათვის გამოიყენოს", - განაცხადა ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელმა ალი ალ-დაბაგმა. ოპოზიციური ჯგუფების ინფორმაციით, მხოლოდ გუშინ სირიაში 134 ადამიანი გარდაიცვალა.

ჩინეთში რამდენიმე მიწისძვრა მოხდა

ჩინეთის სახელმწიფო ტელეარხების ცნობით, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით რამდენიმე მიწისძვრა მოხდა, მათ შორის, ორი - 5,7 და 5,6 მაგნიტუდის სიმძლავრის.

სააგენტო "სინხუას" ცნობით, დაღუპულია, სულ მცირე, ხუთი ადამიანი; დანგრეული და დაზიანებულია 20 000-ზე მეტი შენობა. მიწისქვეშა ბიძგების ეპიცენტრი პროვინციების - იუნანსა და გიუჩჟუს საზღვარზე მდებარეობდა. როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, მიწისძვრის დროს ხალხი შენობებიდან ხტებოდა.

თურქეთის სანაპიროსთან გემის ჩაძირვას 58 ადამიანი ემსხვერპლა

გუშინ თურქეთის ნაპირებთან გემის ჩაძირვას 58 ადამიანი ემსხვერპლა. მაშველებმა 45 ადამიანის გადარჩენა მოახერხეს. თევზსაჭერი გემი, რომელზეც ერაყიდან და სირიიდან არალეგალური იმიგრანტები იმყოფებოდნენ, თურქეთის ნაპირებთან ადგილობრივი დროით 5:30 საათზე ჩაიძირა. როგორც ცნობილი გახდა, მომხდართან დაკავშირებით თურქეთის ორი მოქალაქე აიყვანეს. ისინი უსაფრთხოების ზომების დარღვევაში არიან ეჭვმიტანილნი. მიგრანტების გემი ჩაიძირა იტალიის კუნძულ ლამპედუზასთანაც. ოფიციალური პირების თქმით, 54 მგზავრიგადაარჩინეს, თუმცა ამ დროისათვის ათობით ადამიანია დაკარგული.

ირანში საპრეზიდენტო არჩევნები 14 ივნისს გაიმართება

დღეს ირანის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის 14 ივნისს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყანაში 2009 წელს გაიმართა, როდესაც პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი გახდა.

კონსტიტუციის თანახმად, აჰმადინეჯადი არჩევნებში მესამე ვადით მონაწილეობას ვერ მიიღებს.

"მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნები მუნიციპალურ არჩევნებთან ერთად გაიმართება", - ირანული სააგენტო IRNA ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრზე დაყრდნობით აცხადებს.

"ირანმა სირიაში 150 ოფიცერი გაგზავნა"

The Daily Telegraph-ი დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებზე დაყრდნობით წერს, რომ ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ისლამური რევოლუციის დაცვის კორპუსის 150 ოფიცრის სირიაში გაგზავნას ხელი პირადად მოაწერა. გამოცემის თანახმად, ირანელმა სამხედროებმა ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის დასახმარებლად სირიაში საბრძოლო მასალებიც ჩაიტანეს. როგორც აღნიშნავენ, თეირანმა ეს გადაწყვეტილება 2012 წლის ივლისში მიიღო, როდესაც სირიაში ქვეყნის თავდაცვის მინისტრი მოკლეს.

ნილ არმსტრონგს ზღვაში დაკრძალავენ

"აპოლო 11"-ის ლეგენდარულ ასტრონავტ ნილ არმსტრონგს, რომელიც 25 აგვისტოს 82 წლის ასაკში გარდაიცვალა, ზღვაში დაკრძალავენ. როგორც გაირკვა, საბოლოო განსასვენებელი მას თავად ანდერძში ჰქონდა მითითებული. "ეს იყო მისი სურვილი," - განაცხადა ოჯახთან დაახლოებულმა პირმა რიკ მილერმა. დაკრძალვის ცერემონიაც სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტრადიციების შესაბამისად ჩატარდება. სანამ არმსტრონგი NASA-ში დაიწყებდა მუშაობას, 1949-1952 ნლებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტში პილოტად მსახურობდა. ასეთი ცერემონიის ჩატარება საზღვაო ფლოტმა უკვე დაადასტურა, მაგრამ ინფორმაცია იმის შესახებ, სად, როგორ ან რომელი გემით ჩატარდება გამოსამშვიდობებელი ცერემონია, არ ხმაურდება. არმსტრონგის ოჯახს კონფიდენციალურობის დაცვა სურს.

სამოქალაქო პანაშვიდი 13 სექტემბერს ვაშინგტონის ეროვნულ საკათედრო ტაძარში გაიმართება. აქამდე გამოსამშვიდობებელი ცერემონია ცინცინატში დახურულ კარს მიღმა, ნათესავებისა და მეგობრების წრეში მიმდინარეობდა.

არმსტრონგის ოჯახი შეეცადა, რომ გამოსამშვიდებელი ცერემონია იმ ტრადიციების დაცვით ჩაეტარებინა, რომელთა მიხედვითაც ცხოვრობდა ეს თავმდაბალი ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე კოსმოსსა და კოსმოსური მეცნიერების განვითარებას მიუძღვნა. მისმა ნათესავებმა სპეციალურად გარდაცვლილისთვის შექმნილი ვებგვერდის მეშვეობით მადლობა გადაუხადეს ყველას, ვინც მათი მწუხარება გაიზიარა. ნათესავების თხოვნაა, ასევე, საზოგადოებისთვის, რომ თავი შეიკავონ მრავალრიცხოვანი ყვავილებისა და გვირგვინებს გაგზავნისგან. არმსტრონგის ოჯახის ახლობლების აზრით, უმჯობესი იქნება, თუკი კეთილმოსურნეები თანხებს იმ ფონდებშიგადარიცხავენ, რომლებსაც სიცოცხლეში თავად ნილ არმსტრონგი აფინანსებდა.

ნილ არმსტრონგი 1930 წლის 5 აგვისტოს ქალაქ უაკაპონეტაში (ოჰაიოს შტატი) დაიბადა. სამხედრო-საზღვაო საზაფხულო სასწავლების დამთავრების შემდეგ ის კორეაში გაგზავნეს, სადაც საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდა. დემობილიზაციის დასრულების შემდეგ მან "პურდუს" უმაღლესი სასწავლებელი და ასევე, სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტი დაამთავრა; მუშაობდა გამომცდელ-პილოტად, მან 200-ზე მეტი თვითმფრინავი და ვერტმფრენი გამოსცადა. ასტრონავტების ჯგუფში ნილ არმსტრონგი 1962 წელს მოხვდა, ხოლო პირველად კოსმოსში 1966 წელს გაემგზავრა.

1969 წლის ივლისში არმსტრონგი გახდა ხომალდ "აპოლო 11"-ის ისტორიული ფრენის მონაწილე, რომელმაც პირველად ჩაიყვანა ადამიანი დედამიწის ბუნებრივ თანამგზავრზე. 1969 წლის 21 ივლისს ნილ არმსტრონგმა პირველმა დადგა ფეხი მთვარეზე და განაცხადა: "ეს პატარა ნაბიჯია ადამიანისთვის, მაგრამ გიგანტური ნახტომი - კაცობრიობისთვის". ეს ფრაზა რამდენიმე წუთში მთელ მსოფლიოში გავრცელდა და შევიდა მსოფლიო ასტრონომიის ისტორიაში. თუმცა ეს ერთადერთი ფრაზა არ ყოფილა, რომლითაც არმსტრონგი დედამიწის მოსახლეობას დაამახსოვრდა. მან მთვარიდან გადმოსძახა თავის მეზობელს - "წარმატებებს გისურვებ, მისტერ გორსკი". ამოუცნობი შინაარსის ფრაზა მოგვიანებით გაიშიფრა. სახალისო ისტორიის შინაარსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ნილ არმსტრონგს ბავშვობაში ძმასთან კალათბურთის თამაშისას ბურთი შემთხვევით გადაუვარდა მეზობლის ეზოში. ბურთის მოსატანად ნასულმა ბავშვმა კი გაიგონა, როგორ უცაცხანებდა მეზობელი ქალი ქმარს და ინტიმურ ურთიერთობაზე არ თანხმდებოდა. ასტრონავტმა ენიგმას ფარდა 26 წლის შემდეგ ახადა.

საბოლოო ჯამში, არმსტრონგმა მთვარის ზედაპირზე დაახლოებით ორ საათნახევარი დაჰყო.

არმსტრონგმა და ალდრინმა მთვარეზე ორწუთიანი სესია გამართეს ამერიკის შეერთებული შტატების იმდროინდელ პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონთან, ფოტოები გადაუღეს ლანდშაფტს, სეისმეტრი დაამონტაჟეს მთვარის ზედაპირზე და ლაზერის რეფლექტორის საშუალებით ზუსტად განსაზღვრეს მანძილი დედამიწამდე, შეაგროვეს 20კილოგრამზე მეტი ნიადაგის ნიმუში და დაბრუნდნენ მთვარის მოდულში. 1969 წლის 24 ივლისს "აპოლო 11"-ის დედამიწაზე ეკიპაჟი დაბრუნდა.

ბოლო წლებში არმსტრონგი ცინცინატის გარეუბანში ცხოვრობდა; იშვიათად იძლეოდა ინტერვიუებს, სადაც ხშირად აკრიტიკებდა კოსმოსურ პროგრამას. მართალია, 2010 წლის მაისში მან მკაცრად გააკრიტიკა ბარაკ ობამას ახალი გეგმა, რომელსაც სურდა "თანავარსკლავედის" პროგრამის შეჩერება, რომლის ფარგლებშიც უნდა შეემუშავებინათ ტექნიკა ახალი კოსმოსური ხომალდის ფრენების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო კოსმოსური სადგურისკენ, ასევე, ფრენები მთვარეზე, მუდმივი ბაზების შექმნა მთვარეზე და სამომავლო ფრენები მარსზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, მისი გარდაცვალების შემდეგ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ნილ არმსტრონგი იყო ამერიკის შეერთებული შტატების "არა მხოლოდ თავის ეპოქის, არამედ ყველა დროის" ყველაზე დიდებული გმირი.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ

8-9 სექტემბერი

კინო

"შეუჩერებელნი 2"

რეჟისორი: საიმონ უესტი
როლებში: სილვესტერ სტალონე, ლიამ ჰემსვორტი, ჯეისონ სტეტჰემი, ჯეტ ლი, ჟან-კლოდ ვან დამი, ბრუს უილისი, არნოლდ შვარცნეგერი, ჩაკ ნორისი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი სათავგადასავლო
ხანგრძლივობა: 102 წთ.
გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 13.30; 15.45; 18.00; 20.15; 22.30
ამირანი - 13.3; 15.30; 17.45; 20.00; 22.30

"პირანია"

რეჟისორი: ჯონ გულაჟერი
როლებში: დანიელ პანაბეიკერი, მეთ ბუში, დევიდ კოკრენი, კატრინა ბოუდენი
ჟანრი: კომედია საშინელება
ხანგრძლივობა: 83 წთ.
გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 13.45; 20.45; 22.30
ამირანი - 16.00; 22.30

"უბნის მაყურებლები"

რეჟისორი: აკივა შაფერი
როლებში: ბენ სტილერი, ვინს ვონი, ჯონა ჰილი
ჟანრი: კომედია
ხანგრძლივობა: 102 წთ.
გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 16.00; 18.45; 22.30;
ამირანი - 14.00;

"ტედი"

რეჟისორი: სეთ მაკფარლეინი
როლებში: მარკ უოლბერგი, მილა კუნისი, სეთ მაკ-ფარლეინი, ჯოელ მაკჰეილი, ჯოვანი რიბიზი, პატ-რიკ ბარბერტონი
ჟანრი: კომედია, ფანტასტიკა
ხანგრძლივობა: 106 წთ
რუსთაველი - 13.45; 18.00; 20.15;
ამირანი - 18.00;

"ბეთმენი: შავი რაინდის აღზევება"

რეჟისორი: კრისტოფერ ნოლანი
როლებში: კრისტიან ბეილი, ტომ ჰარდი, ლიამ ნისონი, მორგან ფრიმანი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი დრამა
ხანგრძლივობა: 165 წთ
გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 15.30

"რომის არდადეგები"

რეჟისორი: ვუდი ალენი
როლებში: ვუდი ალენი, პენელოპა კრუსი, ჯესი აიზენერგი, ალეკ ბოლდუინი, რობერტო ბენინი, ფლავიო პარენტი, ჯუდი დევისი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 20.15; 2

გალერეა

ეროვნული გალერეა

"პეტრე ოცხელი - რეტროსპექტივა"
გამოფენა ეძღვნება პეტრე ოცხელის დაბადებიდან 105 წლის იუბილეს
ალექსანდრე ბანძელაძე - საზღვრებს მიღმა

ახალი გალერეა

თანამედროვე ქართველი მხატვრები რუსთაველი "არმაზი, მზესუმზირა, ზუმფიზარი და კაბა"

ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ფილმში მოვლენები რამდენიმე დღის მანძილზე ვითარდება, 2009 წლის თებერვალში, ეროვნული ტრაგედიის ფონზე და ასახულია ელუანა ენგლაროს ცხოვრების ბოლო დღეები, რომელიც 17 წელი იმყოფებოდა კომაში და ბოლოს მისმა მშობლება მოითხოვეს, შეეწყვიტათ მისი ვეგეტატიური არსებობა. სენატორი ბეფარდი, რომლის როლსაც ტონი სერვილო თამაშობს, იძულებული გახდა, გადაწყვეტილება მიეღო და ეს საკითხი პარლამენტში კენჭისსაყრელად შეეტანა. ამ დროს მისი ცოლიც ავადაა და ქმრისგან განაჩენის გამოტანას ელის. მათი ქალიშვილი მარია კი (მსახიობი ალბა რორვახერი), ქრისტიანული დოქტრინის მომხრეა და სიცოცხლის ღვთაებრივობაზე მსჯელობს, თუმცა მის შეყვარებულს ამასთან დაკავშირებით სხვა პოზიცია აქვს და ძმასთან ერთად ითხოვს, საბრალო ელუანას სიკვდილის უფლება მისცენ.

ამასობაში, ფილმის კიდევ ერთი გმირი - ელუანას დედა, რომელსაც იზაბელ იუპერი თამაშობს, იმედოვნებს, ქალიშვილი კომიდან გამოიყვანოს, მაშინ როცა მისი ვაჟი უიმედოდაა განწყობილი და დედას ურჩევს, საკუთარ სამსახიობო კარიერას მიხედოს და "მძინარე მზეთუნახავს" იმქვეყნად მშვიდად გამგზავრებაში დაეხმაროს - ხელოვნური კვების აპარატი გაუთიშოს.

წინასწარ გათვლილი მოქმედებები ფილმს პრიმიტიულ საპნის ოპერას ამსგავსებს. საფესტივალო მედია კი გულდაწყვეტით ამბობს, კინოს ისტორიას არაფერი დააკლდება, ამ ფილმს სულაც თუ ამოვშლით ბელოჩიოს შემოქმედებიდანო.

კადრი ფილმიდან "გებო და ჩრდილი"

სამაგიეროდ, პრესის მოწონება დაიმსახურა პორტუგალიელი რეჟისორის მანუელ დი ოლივეირას არასაკონკურსო ფილმმა "გებო და ჩრდილი". არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ 103 წლის რეჟისორს უკვე უფლება აქვს, რაც უნდა ის გადაიღოს. ფილმი აბსოლუტურად გამართულია აზრობრივად და დრამატურგიულად, თუმცა კი სტატიკური მიზანსცენებით იფარგლება, რის გაგებაც და მიღებაც მაყურებელს არ გასჭირვებია. ოლივეირა რეალობასთან კავშირს არ კარგავს: იგი ლაპარაკობს იმაზე, რაც დღეს პორტუგალიაში და ზოგადად, ევროპაში მტკივნეულია და პრობლემატური. ლაპარაკობს მათხოვრების თემაზე, რაც იმდენად თვალსაჩინოა უკვე, რომ მათ უსაქმურებს, ანდა მარგინალებს ვეღარ უწოდებ. ფილმის გმირები უბრალო ადამინები არიან, რომელთაც დიდი ფული გვერდს უვლის: მისი გამომუშავება შეუძლებელია პატიოსანი შრომით, ის შეიძლება მხოლოდ მოიპარო. ამავე დროს, ისინი აბსურდული პიესის პერსონაჟებს ჰგვანან, რომლებიც მუდმივად რაღაცის მოლოდინში არიან. მოხუც მშობლებს, რომელთაც მაიკლ ლონსდეილი და კლაუდია კარდინალე თამაშობენ, რვა წელია შვილი არ უნახავთ და როცა ის გამოჩნდება, ნათელი ხდება, რომ აღარაფრის მოლოდინი აღარ უნდა ჰქონდეთ, გარდა სიკვდილისა.

რემბრანდტის ფერებში გადაღებული ფილმი კეთილშობილურ რემინისცენციას წარმოადგენს სურათისა "უძღები შვილის დაბრუნება". სიბერის წლებში შესული ცნობლი მსახიობების გამოჩენა, განსაკუთრებით, სრულიად დამჭკნარი ჟანა მოროს დანახვა, ამ კინოექსპერიმენტს დახვეწილ სიმწარეს ანიჭებს.

ვენეციაში სიკვდილს მეორე მხარეც აქვს. ჰარმონი კორინის ფილმი "Spring Breakers" - სავსეა საგაზაფხულო სიგიჟის ფეიერვერკული ბრწყინვალებით, სახუმარო ეროტიკით და მხიარული ძალადობით, რასაც აქამდე ვენეციის ფესტივალი არ მოსწრებია. ფერადოვან სანაპიროზე განვითარებული ამბების გმირები - ოთხი სტუდენტი გოგონა, სტანდარტული სექსუალური გარეგნობით და ასევე სტანდარტული გონებრივი შესაძლებლობით, არდადეგების გასატარებლად ფლორიდაში მიდის. უკან რჩება სკოლა და მასწავლებლები, მოსაწყენი ისტორიებით ჰიტლერზე. სექსსა და როკ-ენ-როლზე ოცნებებით, მაგრამ სინამდვილე მათ ყველაზე თამამ ოცნებასაც კი აჭარბებს: გოგონები ნარკოდილერთა საქმის გარჩევის მომსწრენი ხდებიან და დაუვიწყარ მოგზაურობას გამოკრავენ ხელს მომხიბლავი არამზადის გვერდით, რომელსაც ჯეიმს ფრანკო თამაშობს. მაგრამ ყველაზე მძაფრი საარდადეგებო შთაბეჭდილება იარაღით თამაშია, რაც ბოლოს სისხლის ტბებით სრულდება. ამ ყველაფერის ფონზე, როცა გოგონები მშობლებთან დაკავშირებას ახერხებენ, აღნიშნავენ, რომ ბევრი ახალი და საინტერესო რამ ისწავლეს, თვალსაწიერი გაიფართოვეს და რაც მთავარია, გააცნობიერეს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი კარგ ადამიანად დარჩენაა.

რაც შეეხება ფესტივალის კონტექსტს, "Spring Breakers" მშვენივრად ჯდება ფრანგულ ფილმთან "მაისის შემდეგ", რომელიც რეტროდრამაა და გვიჩვენებს, რომ კონტრკულტურა, თუნდაც თვითპაროდიის ფორმით, დღესაც ცოცხალია. ძალადობის კომპონენტს თუ გამოვრიცხავთ, "Spring Breakers" მოგვაგონებს "ახალი ტალღის" ჩეხურ კლასიკურ ფილმებს "ზიზილები" და "ბიჭები სვიის საკრეფად".

24 საათი

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

2012 წლის ბათუმის კინოფესტივალი 16-23 სექტემბერს გაიმართება და ნაჩვენები იქნება 40 სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმეტური ფილმი 20-22 ქვეყნიდან, ასევე 40 მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

ორგანიზატორების თქმით, ფესტივალზე მოწვეული იქნებიან სტუმრები ევროპიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან და აზიიდან.

2012 წლის ფესტივალზეც, ტრადიციულად, იქნება მასტერკლასები, რომლებსაც მოწვეული რეჟისორები ჩაატარებენ.

კინოფესტივალის ფარგლებში ჩვენებები ბათუმის კინოთეატრ "აპოლოსა" და სასტუმრო "რედისონის" დარბაზში გაიმართება.

ჩვენებები, ტრადიციულად, უფასო იქნება. თუმცა, მაყურებელს წელს ორგანიზატორებმა სიახლე შესთავაზეს - იმისათვის, რომ ჩვენებაზე დასწრების მსურველებს კინოდარბაზში ჰქონდეთ გარანტირებული ადგილი, გაიყიდება ბილეთებიც სიმბოლურ ფასად - ერთიდან ორი ლარის ფარგლებში. ბილეთების ყიდვა კონოთეტრ "აპოლოში", biaff-ის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე და biletebi.ge-ზე იქნება შესაძლებელი. ფესტივალს ეყოლება აკრედიტირებული სტუმრებიც - ოფიციალური სტუმრები, კინოს სექტორის წარმომადგენლები და მედია.

"ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი, წელს, უკვე მეშვიდედ გაიმართება ბათუმში, 16-23 სექტემბერს. ფესტივალი ტრადიციულად ძალიან საინტერესო პროგრამას სთავაზობს მაყურებელს, როგორც ფილმების, ისე სტუმრების კუთხით. გვყავს სამი ჟიური: სრულმეტრაჟიანი, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების," - აღნიშნა კონოფესტივალის მენეჯერმა ზვიად ელიზიანმა.

მისივე თქმით, biaff-ს წელს სამი საპატიო სტუმარი ეყოლება - პოლონელი რეჟისორი იერჟი ჰოფმანი, თურქი რეჟისორი ნური ბილჯე ჩეილანი და ქართველი რეჟისორი ელდარ შენგელაია. ელდარ შენგელაიას და იერჟი ჰოფმანს, biaff-ის ყოველწლიური პრიზი გადაეცემათ მსოფლიო კინოში შეტანილი წვლილისთვის.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

მესხეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს სეზონის მეოთხე პრემიერა წარუდგინა.

ამერიკელი დრამატურგის ნილ საიმონის პიესა "ჩემი ქალები და ქალიშვილი", მესხეთის სცენაზე რეჟისორმა გიორგი შალუტაშვილმა დადგა.

ერთმოქმედებიან დრამაში მთავარ როლს მესხეთის თეატრის მსახიობი ლაშა ბუტულაშვილი ასრულებს. "სპექტაკლი ცოლქმრული ურთიერთობის მარადიულ პრობლემაზეა, რომელიც ყოველ დროს და ყველასთვის აქტუალურია. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ სპექტაკლი ყველა ეროვნებისთვის ადვილად გასაგებია", - ამბობს მესხეთის თეატრის მმართველი და სპექტაკლში ერთ-ერთი როლის შემსრულებელი ლია სულუაშვილი.

მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 45-ე სეზონი 26 აპრილს, სპექტაკლ "ქეთევანით" გაიხსნა. ამ სეზონზე, თეატრი მაყურებელს 8 პრემიერას შესთავაზებს.

მომდევნო პრემიერა, 11 სექტემბერსაა დაგეგმილი. ეს იქნება ერთმოქმედებიანი კლოუნადა, მხიარული კომედია ადამიანთა ურთიერთობებზე. ამის შემდეგ, მაყურებელი იხილავს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დიპლომანტი რეჟისორის ირაკლი ძნელაძის მიერ დადგმულ პიესას "ირინეს ბედნიერება". სეზონის მეშვიდე პრემიერა კახა გოგიძის ილია ჭავჭავაძის ცხოვრების მიხედვით დადგმული სპექტაკლი "ვინ" ("მარად და ყველგან") იქნება. მიმდინარე წლის სეზონი ოქტომბერში, ნუგზარ ლორთქიფანიძის სპექტაკლით, "უცნაური მისის ევაჟით" დასრულდება.

www.news.ge

თოკოს პერსპექტივა

პირველი გვერდიდან

ადრე, ასეთივე რეიტინგებში, პირველწლიანი ნიჭის შედარების დროს, კიდევ ერთ ქართველზე საუბრობდნენ. ნიკა ცქიტიშვილში ნიჭი იყო, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ვერ გაქაჩა. თორნიკე ალბათ უფრო მოურიდებელი და კალათბურთში აზრზე მოსული ახალგაზრდაა. შენგელია "ბრუკლინშია". "ბრუკლინი" მიხაილ პროხოროვის პერსონალური პროექტია და იქ ეივერი ჯონსონი მწვრთნელობს. თავისი წიკვინა ხმით და გრეგ პოპოვიჩის კონსპექტებით.

შენგელია ამ რეიტინგში მეათეა. ბრავო თოკოს და ბრავო ამერიკელებს. თუ ცქიტიშვილი მაშინ (2002) დრაფტის მეხუთე ნომერი იყო და სარეიტინგო ჭორაობაში უნდა ჩაესვათ, შენგელია უფრო უკან (54) ზის. თორნიკე მაგარი ბიჭია. ამერიკულ ლიგაში უნდა ითამაშოს და ეს საინტერესო, მრავალჯერადი იქნება.

რეიტინგში შევიდნენ ის პირველწლიანები, რომლებზეც ბევრს არ საუბრობენ და რომლებიც ამ რეგულარულის პროგრესორები, მეორე ეშელონიდან საუკეთესოები იქნებიან. თოკოს "ბრუკლინში" ძლიერი კონკურენტები ჰყავს (კრის ჰამფრიზი, რეჯი ევანსი, მირზა ტელეტოვიჩი).

თოკომდე მეცხრეზე ზის "ბოსტონის" ფორვარდი კრის ჯოზეფი. კარგი ახალგაზრდა, რომელიც ბოლო საკოლეჯო სეზონში 13.4 ქულას და 4.7 მოხსნას იღებდა. დოკ რივერსი ნიჭიერი მწვრთნელია და ჯოზეფი პოლ პირსს ან ჯეფ გრინს დაასვენებს. თავის 5-6 ქულას, 3-4 მოხსნას წამოიღებს და მეორე სეზონში უკეთესი იქნება.

მერვეზეა "ორლანდოს" დინოზავრი კაილ ო`ქვინი. ცენტრი, რომელიც ფორვარდობს და ფორვარდი, რომელიც ცენტრის ჰამაკში ისვენებს. ცოტა მოუქნელი და ზედმეტად გაპიარებულია, მაგრამ ფლორიდაში მაღალი ტიპების დეფიციტია და ო`ქვინი თავის წუთებს მიიღებს. "ნორფოლკ სთეითის" ლიდერი "მეჯიქში" მრავალწლიან კონტრაქტს აიღებს. ორლანდოში ახალ ჰოვარდს ეძებენ.

თორნიკე შენგელიამ "ბრუკლინში" უნდა აკრიფოს

"დეტროიტმა" მსროლელი კიმ ინგლიში აიყვანა. იქ, "პისტონზში", მსროლელების მთელი ბანდაა და გუნდი ზედმეტად ჭრელია. "მისურიში" ინგლიში შუთერობდა და ხანდახან პირველ ნომერზე დგებოდა. "დეტროიტში" რაღაცები იცვლება და ინგლიშმა 15 წუთამდე უნდა მიიღოს. "დეტროიტში" ჯერ ნაგავია გასატანი და ინგლიშებს მერე მიხედავენ.

შარშან "პორტლენდის" მეორე ხუთეულიდან პირველი კაცი ჯამალ კროუფორდი იყო. ჯამალმა კარგად დაიწყო, მერე იბრექა და "პორტლენდმა" ზედმეტ ელემენტს ნდობა შეუმცირა. უილ ბარტონი გუნდის ახალი კროუფორდი, მეექვსე ჰიტმენი იქნება. "მემფისში", საკოლეჯო ამბებში, ბიჭმა ბოლო სეზონი 18.0 ქულით და 8.0 მოხსნით დახურა. ამერიკელები ბარტონში კევინ დიურანის კონტურებს ამჩნევენ.

ჯეი კრაუდერი "დალასში" დაიკარგება. წესით, პირველ სეზონში უნდა დაიკარგოს. "დალასში" დარჩა ვინს კარტერი და რიკ კარლაილი კარტერში მესამე ნომერს ხედავს. "დალასში" მივიდა ელტონ ბრენდი და ბრენდი კლასიკური მეოთხე ნომერია. ცოტა გახუნებული და ასაწყობი, მაგრამ გამოცდილი და ბოროტი. იქვე შონ მერიონი და ბრენდან რაითი ირბენენ და ყველა ეს ტიპი მესამე ან მეოთხე ნომერზე დგას. "მავერიქსში" ის გერმანელი კრიმინალიც დგას. და ამ პიცაში ჯეი კრაუდერი ზედმეტი იქნება. ჯერ ზედმეტი და თუ მოინდომებს, ბოლომდე გავა.

მეოთხეზე ამერიკელებმა "შარლოტის" ფორვარდი ჯეფრი ტეილორი დააყენეს. მოქნილი, ფიზიკურად ფანტასტიკურად განვითარებული ბიჭი, მაგარი სამიანით (42.2 %), კარგი დაცვით, ნორმალური პასით. ტეილორი აიყვანა გუნდმა, რომელშიც სულ ქაოსია. "შარლოტი" ტეილორში ვერ ხედავს მომავალს და თუ ეს მომავალი ბინძური გვირაბის ბოლოს მაინც გამოჩნდება, სანთელს და ფიქსატორს ტეილორს დააჭერინებენ. პოტენციური კრიმინალი ცუდ გუნდში.

მესამე ნომერი, მისტერ ფესტუს ეზელი მესამე. ნიგერიელი ცენტრი კალიფორნიაში უკვე ეგზოტიკაა. დიკიმბე მუტომბო არ იყო ნიგერიიდან და ლიგას ბევრი დაფარება და მოგონება დაუტოვა. ჰაკიმ ოლაჯუონი იყო ნიგერიიდან და ჰაიკიმი ერუდირებული აფრიკელი სტუდენტი იყო. თან ლეგენდა გახდა. ფესტუს ეზელი მაღალი, 22 წლის მონადირეა, რომელიც აგრესიით თამაშობს კალათბურთს. "გოლდენ სტეიტში" მიიღებს მინიმალურ დროს. იქ პირველი ცენტრი ენდრიუ ბოგუტი იქნება და ავსტრალიელს ლატვიელი ანდრის ბიედრინსი შეცვლის.

დაგვრჩა პირველი ორი ნომერი.

მეორეზე ჩამოჯდა "ჰიუსტონის" ფორვარდი როის უაითი. ერთადერთი ტიპი საკოლეჯო პირველ დივიზიონში, რომელიც თავის გუნდში ("აიოვა სთეითი") ყველაზე ბევრ ქულას, პასს, მოხსნას, ჩაჭრას და დაფარებას იღებდა. ტრანსფორმერი და ძალიან ჭკვიანი ტიპი. "ჰიუსტონმა" ის მეთექვსმეტე ნომრად წამოიყვანა. "როკეტსი" იცვლება, ბოსები მომავალს მომავალში, პატარა ბიჭებში ხედავენ და უაითი მომავალია.

პირველი ნომერი "ტორონტოს" ახალ სპაიდერმენს, ტერენსს როსს ჩააბარეს. გუნდმა ფორვარდი მერვე ნომრად გაიფორმა. I Believe I Can Fly. ბიჭმა არ ქელი უნდა ჩართოს, თვალები დახუჭოს და გაფრინდეს. როგორც ვინსი და ტრეისი მაკგრეიდი აკეთებდნენ.

მეათეზე თოკოა. ჩვენი ბიჭი მაგრად შეუბერავს. თოკო ჯონსონის ყვავის ტუზი იქნება.

ჩოგბურთის, ბოიკოტისა და ფულის ზოგადი თეორია

US Open-ის დაწყებასთან ერთად საჩოგბურთო სამყაროს ყურადღება დაკავებულია მოთამაშეთა მიერ Australian Open 2013-ის შესაძლო ბოიკოტის საკითხით. რა გახდა კამათის მიზეზი და ვინ არის მართალი შექმნილ სიტუაციაში?

თოთხმეტი წლის წინ ნიუ იორკში მოხდა მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ვაჟთა ჩოგბურთი. ლაპარაკია ცნობილ პრესკონფერენციაზე", რომელზეც ჩოგბურთელებმა განაცხადეს ATR-ტურის შექმნის შესახებ, შეჯიბრებათა მართვის აბსოლუტურად ახალი პრინციპებით. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ჩოგბურთის ცალკეული ასპექტები უცვლელი დარჩა. ლაპარაკია სეზონის ყველაზე "ფულიანი" მოვლენების - Grand Slam-ის ტურნირების შემოსავლების განაწილებაზე.

შარშან, როდესაც რაფაელ ნადალი და ენდი როდიკი ლაპარაკობდნენ ტურნირების ბოიკოტის შესახებ იმის საფუძველზე, რომ შეჯიბრებათა მჭიდრო კალენდრის გამო წამყვანი ჩოგბურთელების დატვირთვები მეტისმეტად გაიზარდა, ATR-ის მოთამაშეთა საბჭოს თამჯდომარემ მათ მხარი არ დაუჭირა. როჯერ ფედერერმა, ჩოგბურთის ცოცხალმა ლეგენდამ და, მრავალი მიმომხილველის აზრით, ATR-ის ხელმძღვანელობის "რუხმა კარდინალმა" მხარი არ დაუჭირა მეამბოხეებს. მისი აზრით, ვაჟთა ჩოგბურთის მთავარი პრობლემა არა წამყვანი ჩოგბურთელების, არამედ ჩოგბურთის ბაზისის - მეორე და მესამე ეშელონების მოთამაშეთა მდგომარეობაა.

შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს ამ აზრის მართებულობა. კალენდრის კრიტიკა თანდათან ჩაწყნარდა და პირველ ადგილზე ისევ გავიდა მსოფლიო რეიტინგის პირველ ასეულს მიღმა მყოფი ჩოგბურთელების პრობლემები.

რასაკვირველია, Grand Slam-ის ტურნირების კომერციული მიმზიდველობა ხდის მათ სპორტულ ელდორადოდ. მაგალითად, Australian Open-ის ორგკომიტეტმა მიმდინარე სეზონში გამოაცხადა საპრიზო ფონდის რეკორდული ზრდა - 24.7 მილიონი დოლარი. თუმცა, ამ გარეგნული მიმზიდველობის მიღმა იმალება ერთი პატარა "მაგრამ"; უფრო სწორად, ერთი კი არა, ორი. ჯერ ერთი, თვითონ ჩოგბურთელების საპრიზო ფონდი შეადგენს ორგკომიტეტების მთლიანი შემოსავლების ოც პროცენტს. ბევრია ეს თუ არც ისე?

შედარებისთვის, შარშან აშშ-ის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გამოცხადდა ლოკაუტი (ყველა სათამაშო და საქმიანი ოპერაციის დროებითი შეჩერება), რომლის მიზეზი გახდა მოთამაშეთა და კლუბების მფლობელთა დაპირისპირება. კალათბურთელთა უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ მათი წილი ლიგის შემოსავლების განაწილებაში შეადგენს ორმოცდაჩვიდმეტ პროცენტს (?|). შეადარეთ ეს ჩოგბურთელების ოც პროცენტს და ამავე დროს შეადარეთ კალათბურთელებისა და ჩოგბურთელების სპორტული სეზონების სირთულე.

მეორე, ამ შედარებისას მხედველობაშია მისაღები, რომ NBA-ში სატრანსპორტო და სასტუმროს ხარჯების დაფარვა ევალება კლუბებს. ჩოგბურთელს კი მსოფლიოს (და არა კონტინენტის, როგორც NBA-ში) ნებისმიერ კუთხეში ჩასვლა უწევს საკუთარი ხარჯით. ბუნებრივია, ნოვაკ ჯოკოვიჩისთვის ან როჯერ ფედერერისთვის ეს ხარჯები პრობლემა არ არის, მაგრამ მსოფლიო რეიტინგის მეორე ასეულის პირობითი ჩოგბურთელისთვის მელბურნში ჩასვლა მხოლოდ იმისთვის, რომ დამარცხდეს პირველივე წრეში, ძვირი სიამოვნებაა.

თუ შევადარებთ დღევანდელი და ოცი წლი წინანდელი ლიდერების შემოსავლებს, ზრდის ტენდენცია აშკარაა. როჯერ ფედერერმა თავისი კარიერის განმავლობაში გამოიმუშავა 73 მილიონ დოლარზე მეტი, რაფაელ ნადალმა - 50, ხოლო ნოვაკ ჯოკოვიჩმა - თითქმის 39 მილიონი დოლარი; მაშინ, როდესაც ივან ლენდლის ჯამურმა საპრიზო თანხამ შეადგინა დაახლოებით 21, სტეფან ედბერგის - 20, ხოლო ჯონ მაკინროის - 12.5 მილიონი დოლარი. სხვაობა თვალშისაცემია.

ამავე დროს რეიტინგის მეორე და მესამე ასეულის ჩოგბურთელების საპრიზო თანხები უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა. 2012 წელს პირველივე წრეში დამარცხებული ჩოგბურთელი Australian Open-ზე იღებდა 21.6 ათას დოლარს, "როლან გაროზე" - 22.5 ათასს, ხოლო უიმბლდონზე - 23 ათასს. ეს მონაცემები მიმდინარე სეზონისაა, როდესაც პირველივე რაუნდში დამარცხებულ უიღბლოთა საპრიზო თანხა გაიზარდა ოცი პროცენტით.

თუ ვიანგარიშებთ ჩოგბურთელის, მისი მწვრთნელისა და გუნდის სხვა წევრების მელბურნამდე მგზავრობის, კვების, ბინის, კორტების ქირაობისა და პროფესიონალი სპორტსმენისთვის სხვა აუცილებელ ხარჯებს, გამოგვივა 21 ათას დოლართან სავსებით შესადარი თანხა.

"დაბალრეიტინგიანი ჩოგბურთელები არც ისე ბევრს იღებენ. ამავე დროს მათ თვითონ უწევთ ხარჯების გაღება, რაც არ ხდება პროფესიულ გუნდებში. ეს ის ხალხია, ვინც საჭიროებს პრივილეგიებს", - თვლის ამერიკელი ენდი როდიკი.

ამრიგად, ნიუ-იორკი ასევ გახდა ჩოგბურთის მომავლის განმსაზღვრელი შეკრების ადგილი, სადაც გაჩნდა Australian Open 2013-ის ბოიკოტისა და ალტერნატიული ტურნირის დუბაიში ჩატარების შესაძლებლობა. ზღაპრულად მდიდარი შეიხების დიდი ხნის ოცნებაა Grand Slam-ის ერთ-ერთი ტურნირის მასპინძლობა და მიზანთან მიახლოებისთვის არაფერს არ დაიშურებენ.

ბოიკოტის საფრთხის სერიოზულობას ადასტურებს ისიც, რომ ჩოგბურთელთა ამ შეკრებას ხელმძღვანელობდა სწორედ ფედერერი. მართალია, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ჩვეულ, დიპლომატიურ სტილში აარიდა თავი პირდაპირ პასუხს შეკითხვაზე შეკრებაზე განხილული საკითხების შესახებ.

"სანამ მე ვარ ATR-ის მოთამაშეთა საბჭოს თავმჯდომარე, არც ერთი "შუალედური" ინფორმაცია არ გაჟღერდება", - მოკლედ მოჭრა შვეიცარიელმა. თუმცა, ATR-ისა და ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის ჩინოსნების რეაქცია საფრთხის სერიოზულობის აშკარა დადასტურებაა.

"ბუნებრივია, ჩვენ ვეთანხმებით მსოფლიო რეიტინგის ტოპ 250-ეულისთვის საპრიზო ფონდის გაზრდის აუცილებლობას, - განაცხადა Australian Open-ის ორგკომიტეტის თავმჯდომარემ კრეიგ ტაილიმ AAP-ს სააგენტოს კორესპონდენტებთან საუბარში. მათი შემოსავალი ძლივს აღწევს იმის მეოთხედს, რასაც იღებენ იმავე დონის სპორტსმენები გოლფში". "ახლა ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ მოთამაშეთა საინიციატივო ჯგუფთან - ეს ჩვენს საერთო ინტერესებშია. დარწმუნებული ვარ, მივალთ გადაწყვეტილებამდე, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება," - აღნიშნა ფუნქციონერმა.

რა შედეგი ექნება ამ ისტორიას? ლოკაუტი NBA-ში დასრულდა იმით, რომ მოთამაშეები და კლუბების მფლობელები მივიდნენ კომპრომისულ გადაწყვეტილებამდე შემოსავლების თანაბარი განაწილების შესახებ. ჩოგბურთის პროფკავშირს ასეთი ბრძოლების გაცილებით ნაკლები გამოცდილება აქვს, თუმცა, როჯერ ფედერერის მონაწილეობა ამ პროცესში ტოვებს სასიკეთო შედეგით დასრულების იმედს.

საბოლოოდ გულშემატკივრებმა არ უნდა დაკარგონ იმედი, რომ ჩოგბურთელები და ფუნქციონერები მიიღებენ კომპრომისულ გადაწყვეტილებას და 2013 წლის პირველი "მეჯორის" გადამწყვეტი მატჩი ჩატარდება არა დუბაიში, არამედ მელბურნში.

ჯვაროსნები გამარჯვებით იწყებენ

პირველი გვერდიდან

ამიტომაც, მოდით, ვითარება რეალურად შევაფასოთ და ვთქვათ, რომ ეს შესარჩევი ციკლი გარკვეულწილად, ევრო 2016-ის შესარჩევი ციკლის სამზადისია. მოგეხსენებათ, 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უკვე 24 გუნდი თამაშობს და ქეცბაიამ სწორედ ფრანგულ ევროზე გასასვლელად უნდა მოამზადოს გუნდი. პრინციპში, ეს ტენდენცია ბელორუსთან მატჩშიც გამოჩნდა. საქართველოს ნაკრებმა თაობათა ცვლის პროცესი თითქმის დაასრულა, ქეცბაიამ "ჯვაროსანთა" შემადგენლობა საგრძნობლად გადაახალისა და ამჟამად საქართველოს ნაკრები საკმაოდ ახალგაზრდა და პერსპექტიული გუნდი გახლავთ. ამ შესარჩევ ციკლში ქეცბაიას შეგირდებმა კარგი გამოცდილება უნდა მიიღონ, შემდეგ რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალური საგზურის მოპოვება შეძლონ.

ბელორუსთან თამაშმა დაგვანახა, რომ ამის პოტენციალი ნამდვილად არსებობს. მართალია თამაში დიდად სანახაობრივი არ ყოფილა, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა გააკეთა ის, რაც საჭირო იყო და სამი ქულაც აიღო. ქეცბაიამ საკუთარ სტილს არც ამჯერად უღალატა და ძირითადი აქცენტი მაინც მკაცრ დაცვაზე გააკეთა, თუმცა შემადგენლობიდან გამომდინარე ამას ვერც იტყოდი. რაც შეეხება საქართველოს ნაკრების ტაქტიკურ მონახაზს, დაცვაში ოთხი ფეხბურთელი იყო გამწესებული - კაშია, ამისულაშვილი, ხიზანიშვილი და გრიგალავა. საყრდენის პოზიციაზე დაუშვილი და კანკავა თამაშობდნენ, მათ წინ ფლეიმეიკერად ანანიძე, შუტევის ფლანგებზე ოქრიაშვილი და თარგამაძე, ხოლო ცენტრფორვარდად - მჭედლიძე.

პირველ ტაიმში სანახაობრივი ფეხბურთი ვერ ვიხილეთ,. "ჯვაროსნები" ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდნენ, თუმცა საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. რამდენჯერმე ოქრიაშვილმა საკმაოდ გაამწვავა ჩვენი შეტევები, თუმცა ბელარუსის ნაკრების კართან რეალური ხიფათი არ შექმნილა. სამაგიეროდ, ჩვენმა მეტოქემ ერთხელ კონტრშეტევაზე დაგვიჭირა და აშკარა გოლისგან ხიზანიშვილმა გვიხსნა, რომელმაც ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა.

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებმა ტემპს ოდნავ უმატა და ბელორუსთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, რასაც ოქრიაშვილის სუპერგოლი მოჰყვა. თორნიკემ ლამის სტუმართა მთელი გუნდი მოატყუა და შემდეგ საკმაოდ ოსტატურად გოლიც შეაგდო.

ამის შემდეგ კი საქართველოს ნაკრებმა რატომღაც უკან დაიხია და ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო თამაში, რის გამოც კინაღამ დავისაჯეთ კიდეც და რომ არა ლორიას ბრწყინვალე თამაში ვინძლო ბელარუსის ნაკრებს თბილისიდან ქულაც კი წაეღო. ლორია ისევე როგორც იქრიაშვილი და კანკავა ცალკე სასაუბრო თემაა. საქართველოს ნაკრების მეკარემ პრაქტიკულად იდეალური მატჩი გამართა. გიორგი არც გამოსვლებზე ცდებოდა და კარის ხაზზეც კარგად იდგა. ერთხელ კი ასპროცენტიანი გოლისგან გვიხსნა და ცხრიანიდან გამოიღო ბურთი.

თორნიკე ოქრიაშვილი საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებიდან ყველაზე აქტიური იყო. ამ თამაშმა დაგვანახა, რომ ეს ბიჭი უკრაინულ "ილიჩოვეცში" სათაამაშოდ ცოდოა და უკეთეს გუნდს იმსახურებს (ისევე როგორც თარგამაძე), რაც შეეხება ჯაბა კანკავას, კაპიტნის სამკლაურთან ერთად მან გუნდის ლიდერობაც მოირგო. ბელარუსთან მატჩში კანკავა ყველგან იყო. შეტევაშიც ერთვებოდა, დაცვაშიც მუშაობდა და ნახევარმცველის ფუნქციებსაც ბრწინვალედ ასრულებდა. ,თამაში მოგებულია, პირველი სამი ქულა ჩავიწერეთ და ახლა დიდ თამაშს ველით.

ოქრიაშვილმა საქართველოს ნაკრებში პირველი გოლი მიითვალა

11 სექტემბერს თბილისში მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები ჩამოვა. გუნდი, რომელსაც შეუძლია იტალიისა და გერმანიის ნაკრებსაც კი დაუმალოს ბურთი, გუნდი, რომელიც 2008 წლის შემდეგ ყველაფერს იგებს. მოკლედ, ვნახოთ ესპანეთის ნაკრები და გულის სიღრმეში სასწაულის იმედი გვქონდეს.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ბელორუსიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გეორგი კონდრატიევი საპრესკონფერენციოში ნირწამხდარი შემოვიდა.

"ალბათ ჩვენი დღე არ იყო. აშკარად არ გაგვიმართლა. საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. საბედისწერო შეცდომაც დავუშვით, რაც საქართველოს გოლით დასრულდა. გაშვებული გოლის შემდეგ ვეღარ ავეწყეთ.

...შანსებზე რა უნდა ვთქვა? ისედაც ძალზე ძლიერ ჯგუფში ვთამაშობთ და პლუს ამას პირველივე შეხვედრაში წავაგეთ.

...საქართველოს ნაკრებიდან ვერავის გამოვყოფ. ყველა თანაბრად თამაშობდა".

ბელორუსიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბევრიც არაფერი ჰქონდა სათქმელი და მალევე დატოვა საპრესკონფერენციო.

თემურ ქეცბაია: პირველ რიგში, მინდა ბიჭებს გადავუხადო მადლობა. ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ. არ იყო იოლი თამაში, მაგრამ შანსი ბოლომდე გამოვიყენეთ - შეხვედრა მოვიგეთ.

...სირთულეები გვქონდა, მაგრამ ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს. მეამაყება, რომ მათი მწვრთნელი ვარ. იმედია მომავალში უკეთესი შედეგებიც გვექნება.

...წინ საინტერესო თამაში გველის. მჯერა ბიჭები ისევე იბრძოლებენ, როგორც ეს დღეს იყო ბელორუსთან. თუ ასევე თავდაუზოგავად ითამაშებენ, მნიშვნელობა არ ექნება ჩემთვის შედეგს. ამითაც კმაყოფილი ვიქნები.

...გუნდში ბევრი ახალგაზრდა გვყავს. ჯანი აქვთ, ბევრს მოძრაობენ. მეორე ტაიმში არაქათგამოცლილი კი არ უნდა იყოს გუნდი, პირიქით უნდა უმატებდეს. დღეს სწორედ ეს ვნახე.

ცვლილებები, რომელიც განვახორციელე იმისკენ იყო მიმართული, რომ ანგარიში შეგვენარჩუნებინა. ამაში დასამალი არაფერია.

აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო იმ მცირერიცხოვან გულშემატკივარს, რომელიც მოვიდა დღევანდელ თამაშზე. დარწმუნებული ვარ 11 სექტემბერს სტადიონი გაივსება, მაგრამ მათ შორის ბევრი ესპანეთის ნაკრების სანახავად იქნება მოსული. მე კი მინდა, რომ საქართველოს ჰყავდეს გულშემატკივარი".

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

საქართველო - ბელორუსი 1:0

გოლი: ოქრიაშვილი (51)

საქართველო: ლორია, ოქრიაშვილი (სირბილაძე, 83), გრიგალავა, კაშია, ამისულაშვილი, ხიზანიშვილი, კანკავა, დაუშვილი, თარგამაძე, ანანიძე (გორგიაშვილი, 75), მჭედლიძე (კვირკველია, 56).

ბელორუსი: ვერემკო, კულჩი, მარტინოვიჩი, კორნილენკო, ბრესანი, ნეხაიჩიკი (ბორდაჩევი, 30), პუტილო, ჟავნერჩიკი (ბალანოვიჩი, 34), პოლიაკოვი, ტიგორევი (დრაგუნი, 64), ვერხოვცოვი.

მსაჯი: სტანისლავ ტოდოროვი (ბულგარეთი)

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები

შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge